ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

პარასკევი, 31 მარტი, 2023 №64 (9100) ფასი: 80 თეთრი

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოდანაშაულისთვის 58 პირი დაპატიმრეს, მათ შორის 31 ნარკორეალიზატორია

გვ.5

ვინ არის ქალი, რომელიც თავს პროკურორად ასაღებდა

„სალომე ზურაბიშვილი რომ პრეზიდენტად აირჩიეს, მართლაც ახია „ქართულ ოცნებაზე“

პაატა დავითაია: „პრეზიდენტისა და „ოცნების“ „დაპირისპირება“ რეალური არ არის“

გვ.2

„ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის საკითხი ივლისში წყდება, ოქტომბერში დასკვნა გამოქვეყნდება“

გვ.3

„საქართველო უნდა დაემშვიდობოს „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც“

დავით ჭიჭინაძე: „თუ „ოცნება“ 2024 წლის არჩევნებზე არ წავა და ძალაუფლების შენარჩუნებას შეეცდება, მაშინ ძალიან ცუდად დაამთავრებენ“

გვ.3

ვახტანგ მაისაია: „ყაზახეთი ჩინური ტვირთების ერთგვარი სატრანზიტო ეკონომიკური ჰაბი ხდება“

„ყაზახეთში ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევა შეუძლია“

„რუსეთი ახლა ჩინეთის ცოფიანი ძაღლია“

გვ.4

„ეს სი ძინპინის მხრიდან შანტაჟს ჰგავს“

„ბირთვული იარაღის გათავსებას საცავები სჭირდება, რაც რუსეთს ბელარუსში არ გააჩნია“

საპატრიარქო მედიას შეზღუდვებს უწესებს

გვ.4

გვ.5

ბადრი ესებუა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ნაწილში თავს დამნაშავედ ცნობს

2 გიორგი ვაშაძის ბოიკოტი სალომე ზურაბიშვილს

5 სარფის საბაჟოზე დააკავეს საქართველოდან გადასული კაცი, რომელსაც 250 წყლის კუ ფარულად გადაპყავდა

4 2022 წელს საქართველოში 6.799 ადამიანით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა

6 რა შანსები გააჩნია უკრაინელთა კონტრშეტევას?!

1993230720223

„სალომე ზურაბიშვილი რომ პრეზიდენტად აირჩიეს, მართლაც ახია „ქართულ ოცნებაზე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პაატა დავითაია პასუხობს.



„ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის საკითხი ივლისში წყდება, ოქტომბერში დასკვნა გამოქვეყნდება“

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს? სალომე ზურაბიშვილის თამამი განცხადებების შემდეგ „ოცნება“ მის კრიტიკაზე გადავიდა. ახია ჩვენზე, რაც მაგის არჩევაზე ვიწვალეთო, განაცხადა მდინარაძემ. რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

– მოდით, ასე ვთქვათ, უნიკალური შემთხვევაა, როდესაც მდინარაძეს ვეთანხმები. ახია „ოცნებაზე“, რომ სალომე ზურაბიშვილი აირჩიეს პრეზიდენტად. ვეთანხმები ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. ახლა პრეზიდენტს უნდა, რომ გამოვიდეს კარგი ადამიანი და ვერ გამოვა ბევრი მიზეზის გამო. პირველი, რომ აბსოლუტურად არ ეკუთვნოდა პრეზიდენტობა და მართლაც, აქ ვეთანხმები მდინარაძეს, ახია „ოცნებაზე“ რომ აირჩიეთ ნულრეიტინგიანი ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი მოღვაწეობის განმავლობაში არანაირი გადაწყვეტილება არ მიუღია. პირიქით, სულ „ოცნების“ თამაშს თამაშობდა და სახელმწიფო ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. სწორედ პრეზიდენტის დამსახურებაა ის, დღეს რა პრობლემებიც აქვს ქვეყანას. აი, ეს არის რეალობა.

– ახლა რა შეიცვალა, რატომ შეცვალა რიტორიკა ზურაბიშვილმა?

– ახლა ცდილობს, ამ 12 პუნქტიდან გამომდინარე აკეთოს განცხადებები. ისედაც ვადა ეწურება და ისევ თავის კეთილდღეობაზე ფიქრობს. არანაირი პოლიტიკის გამგრძელებელი საქართველოში ეგ არ არის, ეტყობა, ისევ ევროპულ სტრუქტურებს უმიზნებს და ამიტომ ამ განცხადებებით თამაშობს უცხოელებზე. ოღონდ აქაც თამაშობს არაადეკვატურად.

– ანუ პრეზიდენტს არ უნდა, რომ ჩაძირულ გემს თან ჩაჰყვეს და თავის გადარჩენას ცდილობს?

– დიახ, სწორედ ამის მცდელობაა, თორემ, თუ პროცესების სწორად წაყვანა და პოლარიზების აღმოფხვრა უნდოდა, მთელი მსოფლიო ეხვეწება გვარამიას, სააკაშვილის შეწყალებას. ახლა თუ გინდა, რომ პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღო, უნდა აიღო, ეგრე არ არის!

– როგორ ფიქრობთ, არ შეიწყალებს? თითქოს ისეთი რიტორიკა აქვს, რომ აპირებს შეწყალებას.

– არ ვიცი, ძალიან რთულია ამ ადამიანის ლოგიკის გაგება. არც ვაპირებ მის ლოგიკაში შესვლას. ერთი ვიცი, რომ ნიკა გვარამიას თემა ძალიან ნათელია და მსგავს დანაშაულზე არავინ ჩამჯდარა. თავისუფლად შეუძლია, შეიწყალოს. არც გვარამიას განცხადება სჭირდება ამას და არც არაფერი. ამიტომ, მოდით, ასე ვთქვათ, პრეზიდენტისა და „ოცნების“ „დაპირისპირება“ არც ისე რეალურია. სიტუაციას ყველა იყენებს თავისი ინტერესების გამო და არცერთი არ მოქმედებს სახელმწიფო ინტერესებით. მე არ მერიდება ამის თქმა – დღეს სალომე ზურაბიშვილი არ მოქმედებს სახელმწიფო ინტერესებით. თუ ვინმეს უნდა, რომ დაივიწყოს ან არ ახსოვს მთელი მისი საპრეზიდენტო მოღვაწეობა, კი ბატონო, მაგრამ მე ძალიან კარგად მახსოვს და მართლაც ახია „ოცნებაზე“, ასეთი პრეზიდენტი რომ აირჩია.

– ამ ფონზე, როდესაც ასეთი ქაოსია ქვეყანაში, ერთხელ მაინც რატომ არ გამოჩნდა ივანიშვილი? გუშინ ვნახეთ მისი გაელვება თუთიყუშების გარემოცვაში. რას ნიშნავდა ეს? ბევრმა ასე გაიგო, ჩემი თუთიყუშები მართავენ ქვეყანასო. თქვენ როგორ გაიგეთ?

– ძალიან კარგად მესმის, რასაც მეკითხებით, მაგრამ არ მინდა იგავ-არაკებით ლაპარაკი ივანიშვილთან დაკავშირებით. რატომ დუმს, არ ვიცი. ის ამბობს, რომ არ ერევა პოლიტიკაში.

– ამის რომ არავის არ სჯერა?

– დიახ, ამ ილუზიის არც მე მჯერა და არც თქვენ. არც დასავლეთში იჯერებენ ამას, მაგრამ თვითონ სჯერა, ფიქრობს, რომ თავისი პოზიციიდან სწორად მოქმედებს. თუთიყუშთან გამოჩნდება თუ ზებრებთან, არა აქვს ამას ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა. ეს მისი პრივატული ცხოვრებაა და, ვისთანაც უნდა, იმასთან გადაიღოს სურათი. მე არ ვაბამ ამას პოლიტიკას. უბედურება ის არის, რომ ყველაფერს პოლიტიკას აბამენ. ეს უკვე ცხადყოფს „ქართული ოცნების“ მოღვაწეობის პრობლემას. თუთიყუშიც პოლიტიკა რომ ხდება, ეგ უკვე პრობლემაა!

– სერიოზული პოლიტიკური კრიზისი აქვს „ოცნებასო“. ელოდებით გუნდში გადახალისებას, ცვლილებებს?

– არ ვიცი. მაგათ თავში რა იხარშება, რთული სათქმელია. მაგათთვის ყველაზე მარტივი თემა იყო ამ 12 პუნქტის შესრულება და არ შეასრულეს.

– ისევ გააქტიურდა ეს საკითხი და, როგორ ფიქრობთ, შესრულდება? ხელისუფლება ოპოზიციას ადანაშაულებს, რადიკალური და აგრესიულია, არ მოდის ჩვენთან დიალოგზეო.

– ვის დაუძახეს დიალოგზე?! სად შექმნეს ოპოზიციასთან დიალოგის პრეცედენტი?! ნაცმოძრაობას იყენებენ იმისათვის, რომ დაპირისპირება შექმნან, ეს დააბრალონ მთელ ოპოზიციას და ნაცმოძრაობა არ არის მთელი ოპოზიცია!

– ბატონო პაატა, დასავლეთიდან მაღალი რანგის თანამდებობის პირების ვიზიტები გახშირდა, ხვდებიან როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას. ამ ყველაფერს რას უკავშირებთ? ბევრი სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლებთან ავლებს პარალელს. რა არის ეს, ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაბარების მცდელობა?

– არა მარტო სააკაშვილის მმართველობის ბოლო წლები, შევარდნაძის მმართველობის დასასრულსაც ასე იყო. ხომ გახსოვთ ბეიკერის გეგმა? ეს მოძრაობები ყოველთვის იყო. აქედან გამომდინარე, ახალი არაფერი არ არის. ახლა ბოლო ჟამია თუ არა „ქართული ოცნების“, მოდით, არ შევალ ამ მკითხაობაში, მაგრამ, 12 პუნქტის არშესრულების ბოლო ჟამი რომ არის, ეს ფაქტია.

– ფიქრობთ, რომ ძირითადად ამ სამუშაოების შესრულებისკენ მოუწოდებენ?

– დიახ. უფრო ამისკენ მიდის მუშაობა და დღეს ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი საკითხი.

– ხელისუფლებას კიდევ ერთი შანსი მისცეს, ვადა აქვთ ოქტომბრის ბოლომდე. რამდენად გამოიყენებენ ამ შანსს?

– ოქტომბრის ბოლომდე არის იურიდიული ვადა. ოქტომბრის ბოლოს გამოქვეყნდება საბოლოო შეფასება, მერე სხდომაა დეკემბრის ბოლოს და უკვე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ხდება. ოქტომბერში უკვე გვეცოდინება, გვაძლევენ თუ არ გვაძლევენ. თუ არ მოგვცეს, ხელისუფლებას საზოგადოება ამას არ აპატიებს. სწორედ ამიტომ ვთქვი, რომ 12 პუნქტის ბოლო ჟამია და არა „ქართული ოცნების“! რეალურად კი ეს დასკვნა, თქვენ და თქვენს მკითხველს წარმოდგენა რომ გქონდეთ, იწერება ივლისში. ივლისში მთავრდება მუშაობა დასკვნაზე და ოქტომბერში ქვეყნდება. ფაქტობრივად, ივლისში განაჩენი უკვე გამოტანილი იქნება. ვიწრო წრეში ეცოდინებათ, რა იქნება.

– ანუ ივლისის ბოლომდე აქვს ვადა ხელისუფლებას და არა ოქტომბრის?

– დიახ, ზუსტად ასეა. ივლისის ბოლომდე და არა ოქტომბრის.

– როგორ ფიქრობთ, სააკაშვილის საკითხი რამდენად გადაწყდება ამ დრომდე? დასავლეთი მოუწოდებს, რომ გაუშვან სამკურნალოდ. გაუშვებენ?

– ამ ხელისუფლებისგან სააკაშვილის გათავისუფლებას არ ველოდები. მათი პოზიციების გათვალისწინებით, ეს მოლოდინი არ მაქვს. ამიტომ ჩემი პროგნოზია – არა. სააკაშვილს რომ რამე დაემართოს, ქვეყნისათვის ეს იქნება ძალიან მძიმე დაღი. ქვეყანა, რომელმაც ორი პრეზიდენტი მოკლა... საერთოდ რა კანდიდატის სტატუსზე უნდა იყოს მერე ლაპარაკი. „ქართული ოცნების“ ადგილას მიხეილ სააკაშვილს გადავცემდი ევროკავშირის რომელიმე ქვეყანას მკურნალობის მიზნით. არ უნდათ და ამით ძალიან სერიოზულ რისკზე მიდიან.

– ანუ „ქართული ოცნების“ პოლიტიკა როგორია, მიგვიღეთ ევროკავშირში ასეთები, როგორებიც ვართ, არ შევიცვლებითო?

– ძალიან სწორი შეფასება გააკეთეთ, ოღონდ ერთს დავამატებდი, თუ არ მიგვიღებთ, სულ კარგად იყავით, სულ ეგ გვინდაო. აი, ეს არის მათი პოლიტიკა.

პაატა დავითაია: „პრეზიდენტისა და „ოცნების“ „დაპირისპირება“ რეალური არ არის“

ანრი ოხანაშვილი: „სააკაშვილს აქვს შესაძლებლობა, საკვები მიიღოს. ამას თვითდაზიანება ჰქვია“

– პოლიტიკურად მიკერძოებული და სააკაშვილთან დაკავშირებული სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები არათუ ხელს უწყობენ, რომ მან საკვები მიიღოს, არამედ ამის საწინააღმდეგოდ აკეთებენ ყველაფერს, მნიშვნელოვანია ჯანსაღი აზრი – კლინიკის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მას აქვს შესაძლებლობა, საკვები მიიღოს, – ამის შესახებ იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილმა ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისი თქმით, კლინიკის წარმომადგენლის კომპეტენტური აზრია, რომ სააკაშვილს აქვს შესაძლებლობა, „თხევადი თუ სხვა ფორმით“ მიიღოს საკვები.

– ამ საკითხზე პოლიტიკური განცხადებები არ არის საჭირო და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებს უნდა მოვუსმინოთ, ვისაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და პაციენტზე ზრუნვის ინტერესი. ამ კლინიკის წარმომადგენლები განცხადებას აკეთებენ, რომ მიხეილ სააკაშვილს სრული შესაძლებლობა აქვს, მიიღოს საკვები და შესაბამისი რაციონი, მაგრამ ამაზე მიზანმიმართულად უარს ამბობს.

სამწუხაროდ, სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები, რომლებიც არიან პოლიტიკურად მიკერძოებული და დაკავშირებული სააკაშვილთან, ისინი არათუ ხელს უწყობენ, რომ ამ ადამიანმა საკვები მიიღოს, არამედ ამის საწინააღმდეგოდ ყველაფერს აკეთებენ. ჩემთვის მნიშვნელოვანია ეს ჯანსაღი აზრი, კონკრეტული სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის კომპეტენტური აზრი, რომელიც ამბობს, რომ ამ ადამიანს აქვს შესაძლებლობა საკვები მიიღოს, იქნება ეს თხევადი თუ სხვა ფორმით, მაგრამ ამას მიზანმიმართულად არ აკეთებს. ამას ჰქვია თვითდაზიანება განზრახ და მიზანმიმართულად. ერთადერთი, რაც მან უნდა გააკეთოს, საკუთარ თავს უნდა უთხრას, რომ საკვები მიიღოს. ხელისუფლება ვალდებულია, რომ პატიმრის უფლება დაიცვას და მას შესაბამისი სერვისი შესთავაზოს, სახელმწიფოს მხრიდან ეს შესაძლებლობა არსებობს და ახლა უკვე დარჩენილია მისი ნებიჯი, რომ საკუთარი თავი მიზანმიმართულად არ დააზიანოს, – განაცხადა ოხანაშვილმა.

გიორგი ვაშაძის ბოიკოტი სალომე ზურაბიშვილს

გიორგი ვაშაძემ სალომე ზურაბიშვილს ბოიკოტი გამოუცხადა – „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი პრეზიდენტის წლიურ ანგარიშს პარლამენტში არ დაესწრება.

ვაშაძე ამბობს, რომ ზურაბიშვილს აღარ ენდობა, ამიტომ გადაწყვიტა, დღეს სხდომათა დარბაზში საერთოდ არ შევიდეს. ოპოზიციონერი დეპუტატისთვის წყალგამყოფი პოლიტპატიმრების საკითხი აღმოჩნდა. ვიდრე პრეზიდენტი ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილს არ შეიწყალებს, ვაშაძე საუბრის აზრს ვერ ხედავს.

რობინ დანიგანი: „საქართველოში ელჩად დამტკიცების შემთხვევაში, ჩემი მუშაობა ოთხ პრიორიტეტზე იქნება კონცენტრირებული“



– საქართველოში ელჩად დამტკიცების შემთხვევაში, ჩემი მუშაობა ოთხ პრიორიტეტზე იქნება კონცენტრირებული, – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის ელჩის პოზიციაზე ჯო ბაიდენის მიერ წარდგენილმა კანდიდატმა რობინ დანიგანმა სენატის საგარეო საქმეთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა.

– თუ დამტკიცდება (ჩემი კანდიდატურა), ოთხ პრიორიტეტზე ვკონცენტრირდები. პირველ რიგში, ჩემი უმთავრესი ვალდებულება იქნება, უზრუნველვყო თბილისში აშშ-ის საელჩოს გუნდისა და საქართველოში მყოფი აშშ-ის ყველა მოქალაქის უსაფრთხოება.

მეორე რიგში, ვიმუშავებ საქართველოს მთავრობასთან და ქართველ ხალხთან, რათა დავეხმარო მათი ოცნების ახდენაში იყვნენ მტკიცედ ინტეგრირებულები ევროკავშირში, ნატოში და დასავლეთში. ევროატლანტიკური ინტეგრაცია არა მხოლოდ დაეხმარება საქართველოს მოქალაქეებს, ღრმად მწამს, რომ ეს აშშ-ის ეროვნულ ინტერესებშიც არის.

გვსურს დემოკრატიული საქართველო, მტკიცედ ინტეგრირებული დასავლეთთან, საკუთარი საზღვრების დაცვის შესაძლებლობის მქონე და უნარის მქონე გაუძლოს რუსეთის მავნებელ აქტივობებს. საქართველომ აღსანიშნავ პროგრესს მიაღწია გასული 30 წლის განმავლობაში, მაგრამ გარკვეული შემაშფოთებელი ნიშნები გვაჩვენებს, რომ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

მესამე რიგში, გავაძლიერებ ორმხრივ ინვესტიციებსა და ვაჭრობას, მათ შორის აშშ-ის ექსპორტისა და ამერიკული კომპანიებისთვის საქართველოში შესაძლებლობების გაზრდით.

მეოთხე პრიორიტეტი იქნება საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ბოლომდე დაცვა, ვინაიდან რუსეთს ჯერ კიდევ ოკუპირებული აქვს მისი ტერიტორიის 20%. ვიმუშავებ ქართველ და საერთაშორისო პარტნიორებთან, რომ რუსეთმა შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომლებიც 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებასა და გაეროს ქარტიაშია ჩამოთვლილი, – განაცხადა დანიგანმა.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„საქართველო უნდა დაემშვიდობოს „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც“

დავით ჭიჭინაძე: „თუ „ოცნება“ 2024 წლის არჩევნებზე არ წავა და ძალაუფლების შენარჩუნებას შეეცდება, მაშინ ძალიან ცუდად დაამთავრებენ“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ ლიდერი, „ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, რამდენად არის მოსალოდნელი, „ქართული ოცნების“ ძველი სახეები 2024 წლის არჩევნებისთვის პოლიტიკაში დაბრუნდნენ? ზაზა პაპუაშვილმა სახელწოდებით „მოვდივართ“ აქცია დააანონსა. შეიძლება, ეს კავშირში იყოს ახალ პოლიტიკურ მოძრაობასთან?

– ვერაფერს გეტყვით. ქართველ ხალხს, დარწმუნებული ვარ, 2024 წლის არჩევნებზე „ქართული ოცნება“ არანაირ კომბინაციაში არ სჭირდება. საქართველო უნდა დაემშვიდობოს „ქართულ ოცნებასაც“ და ნაციონალურ მოძრაობასაც. ორივე ამ ქვეყნის წარსულია. ამ ქვეყნისთვის რაიმე სიკეთის მომტანი არც ერთია და არც მეორე. მათ საკუთარი თავი ყველა დონეზე ამოწურეს. ამომრჩეველი, დარწმუნებული ვარ, ორივე ძალას დაემშვიდობება.

დღეს საზოგადოებას არავის მხრიდან არ სჭირდება თავბრუდამხვევი კომბინაციები. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ხალხი ბრძენია და მშვენივრად მიიღებს გადაწყვეტილებას, ვის ანდოს ამ ქვეყნის მომავალი.

ამ ქვეყნისთვის, ამ ხალხისთვის არაფერი არც ნაციონალურ მოძრაობას გაუკეთებია და არც „ქართულ ოცნებას“. რომელიმეს რამე რომ გაეკეთებინა, ერთი ცხრა წელი იყო ხელისუფლებაში, მეორე აგერ უკვე ლამის ათი წელი გახდა. ოცი წლის განმავლობაში ქვეყანასაც და ხალხსაც არათუ უნდა ამოესუნთქა, ქვეყანა აყვავებული უნდა იყოს, მაგრამ, რას ვხედავთ – ხალხი ამ ქვეყნიდან გარბის. ადამიანები ვერ ახერხებენ ოჯახის რჩენას, სამუშაოს ვერ შოულობენ, ბანკის ვალები ახრჩობთ. ამ ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობა ღატაკია, სიღარიბეში იხრჩობიან.

ადამიანები თვითგადარჩენას ემიგრაციაში ხედავენ. თუ ეს არ შევაჩერეთ, მალე ქვეყანა დაიცლება. თუ არ შეიქმნა ელემენტარული პირობები მაინც, რომ ადამიანი მშიერი არ მოკვდეს ამ ინფლაციის, გაზრდილი ფასების ფონზე, ყველაფერი გვერდით დაგვრჩება.

არცერთი პოლიტიკური ძალა ხალხი გაძარცვაზე არ საუბრობს. ხალხი ბანკებმა, უბრალოდ, გაძარცვეს. ამაზე არავინ არ საუბრობს მხოლოდ იმიტომ, რომ ინტერესები აქვთ, მსხვილი ფენისთვის დარტყმა არ უნდათ.

– 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები არ არის მორიგი არჩევნები. შეიძლება, გადამწყვეტი არჩევნებიც კი ვუწოდოთ. როგორ ფიქრობთ, შეიძლება, გამოჩნდნენ ახალი ძალები ან ლიდერები, რომლებიც არსებულ ძალთა ბალანსს, ორპოლუსიან პოლიტიკას დაარღვევენ?

– ეს არჩევნები ნამდვილად არის გადამწყვეტი არჩევნები. სხვების რა გითხრათ, მაგრამ ჩვენ სერიოზულად ვემზადებით. „ქართულ ოცნებას“ ნამდვილად არ ელოდება მშვიდი პოლიტიკური ცხოვრება. მმართველი ძალა, უბრალოდ, ასე ვეღარ გააგრძელებს. 2024 წლის არჩევნების გაყალბებას საზოგადოება არ დაუშვებს. ეს გამორიცხულია! ამაზე ნურავინ იოცნებებს. არავის არ აპატიებს მისი არჩევანის, მისი ნების წინააღმდეგ წასვლას. თუ ასე მოხდება, მაშინ, მერწმუნეთ, „ოცნება“ ძალიან ცუდად დაამთავრებს.

– როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ 2024 წლის არჩევნებზე ამ გუნდით წარდგება?

– ვერ გეტყვით. თუმცა, რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ის არის, რომ გუნდის შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა. 2020 წლის არჩევნების შემდეგ გუნდი ლიდერებისგან, სახეებისგან დაიცალა, აღარავინ ჰყავთ. ერთადერთი, ვისაც შეუძლია ხმების მობილიზება, ღარიბაშვილია, მაგრამ მას არავინ ჰყავს გვერდით.

– რას გულისხმობთ?

– გუნდი არ ჰყავს. ერთადერთი, ვინც რამე გააკეთა „ქართულ ოცნებაში“ თუნდაც ევროინტეგრაციის მიმართულებით, გიორგი კვირიკაშვილია, მაგრამ ის დღეს არ არის პოლიტიკაში.

– მისი პოლიტიკაში დაბრუნების შანსი რამდენად არის?

– ერთადერთი, ვისაც ერთ მდინარეში ორჯერ შეუძლია შესვლა, დღეს არის კვირიკაშვილი, მაგრამ, რას იზამს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს, არ ვიცი. ამ ადამიანმა სერიოზული სამუშაო შეასრულა ამ მიმართულებით, ვიზალიბერალიზაცია, დასავლეთისგან სერიოზული მხარდაჭერის მოპოვება შეძლო. ამ მიმართულებით ნამდვილად ითამაშა დადებითი როლი.

– ალბათ პოლიტიკური დუღილის ტემპერატურა შემოდგომიდან აიწევს. რას უნდა ველოდოთ?

– როდესაც ხელისუფლებას რეალურად არა აქვს ხალხის მხარდაჭერა, მაშინ ის ყველაფერს ეცდება. მათ მშვენივრად იციან, რომ მარტივ მამრავლებად დაშლილი ნაციონალური მოძრაობა უკვე ვეღარ იქნება საფრთხობელა, ეს ვერ იმუშავებს. მათი ეს დასაყრდენი დალპა.

მათ ასევე მშვენივრად დაინახეს მარტის აქციებზე, რომ ხალხი მზად არის, თავისი არჩევანი ბოლომდე დაიცვას. თუ „ოცნება“ 2024 წლის არჩევნებზე არ წავა და ძალაუფლების შენარჩუნებას შეეცდება, მაშინ ძალიან ცუდად დაამთავრებენ, ლეგიტიმაცია გაუჭირდებათ.

„ყაზახეთში ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევა შეუძლია“

ვახტანგ მაისაია: „ყაზახეთი ჩინური ტვირთების ერთგვარი სატრანზიტო ეკონომიკური ჰაბი ხდება“

ერთვება თუ არა შუა აზიის დიდი ქვეყანა, ყაზახეთი, აზერბაიჯანი-საქართველო-რუმინეთი-უნგრეთის შუა დერეფნის პროექტში? რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე რა პოლიტიკას ატარებს ყაზახეთი დღეს, რომელმაც გასულ წელს დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ძალების დახმარებით ქვეყანაში გარკვეული ძალების ამბოხი ჩააცხრო? „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

გულიკო ბალაძე

– ბატონო ვახტანგ, ახლახან ყაზახეთში საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლად იმყოფებოდით. ყაზახეთი დღევანდელი მსოფლიო მოვლენების კონტექსტში როგორ პოლიტიკას ატარებს?

– საქართველოში არსებული ცუნამისა და კასპიის აუზის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ყაზახეთმა 2019 წელს საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური წინსვლა დაიწყო როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს პრეზიდენტ ტოკაევის ფენომენს უკავშირდება. ტოკაევი საკმაოდ წონიანი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ნაზარბაევს ტოკაევზე აქცენტი შემთხვევით არ გაუკეთებია.

– როგორ?

– ტოკაევს საინტერესო ბიოგრაფია აქვს. მან დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ინსტიტუტი, მაღალი დონის კარიერული დიპლომატია, ევროპასა და ჩინეთში მოღვაწეობდა, ჩინურ ენას თავისუფლად ფლობს, ასევე კარგად ფლობს ფრანგულ და ინგლისურ ენებს. შესაბამისად, საკმაოდ ძლიერ სინოლოგად ითვლება.

რაც ყველაზე საინტერესოა და ჩვენს ქვეყანაში არ იციან, ტოკაევი გაეროს გენერალური მდივნის მოადგილე იყო. ფაქტობრივად, მან პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან გაეროში ყველაზე მაღალი დონის თანამდებობას მიაღწია. ამხელა თანამდებობა გაეროში პოსტსაბჭოთა ქვეყნების არცერთ პოლიტიკოსსა და დიპლომატს არ ღირსებია. ტოკაევმა ამას საკუთარი შრომითა და ნიჭით მიაღწია.

ტოკაევი გაეროს გენერალური მდივნის მოადგილედ 5 წელი მუშაობდა, სერიოზული ცვლილებები შეიტანა გაეროს რეფორმირების საქმეში. მან ქვეყანა რთულ პირობებში ჩაიბარა.

ნაზარბაევის მმართველობის ბოლო პერიოდი ავტორიტარული ქვეყნის ელემენტებით ხასიათდებოდა. კლანური მართვის ნიშნები შეიმჩნეოდა. ტოკაევმა ამ მოვლენების წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლა დაიწყო. მყარი, ძლიერი საპრეზიდენტო სახელმწიფო ჯერ ნახევრად საპრეზიდენტო, ხოლო შემდეგ საპარლამენტო მართვის მოდელზე გადაიყვანა.

– გასულ წელს ყაზახეთში აჯანყება ხომ იყო?

– გადატრიალების მცდელობა იყო.

– ამ აჯანყების ჩასახშობად ტოკაევმა, ფაქტობრივად, რუსული ძალები გამოიყენა დსთ-ის ძალების ეგიდით.

– ტოკაევმა კოლექტიური უსაფრთხოების ძალები გამოიყენა, თუმცა მან მოახერხა, ელემენტარულად, ქვეყნის შეიარაღებული ძალების მართვის სადავეების ხელში აღება, სწორი, ოპერატიული მართვის შედეგად, ე.წ. ამბოხებულების (გადატრიალების მცდელობის) ლოკალიზება და შემდეგ განეიტრალება.

ტოკაევმა ამბოხებულებს საშუალება არ მისცა, ამბოხება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განევითარებინათ. ამაზე ჩატარებულია სერიოზული ჟურნალისტური გამოძიება. გადაღებულია სერიოზული, 5-სერიიანი დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ერთადერთი უცხოელი უსაფრთხოების ექსპერტი მე მიმიწვიეს, ანუ ფილმში ვმონაწილეობ, როგორც უსაფრთხოების კვლევის უცხოელი სპეციალისტი, ექსპერტი, სადაც ჩემი კომენტარებია დაფიქსირებული. ჩართული ვიყავი ჟურნალისტურ გამოძიებაში და ამისთვის მადლობაც გადამიხადეს. ამიტომ კარგად ვიცი, რა მოხდა გასული წლის იანვარში.

– გასული წლის ყაზახეთის მოვლენები სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა იყო. გარედან ინსპირირებული გახლდათ?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ქუთაისში ქალბატონი ავტობუსში გარდაიცვალა

ტრაგედია ქუთაისში – საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასაკოვანი ქალი გარდაიცვალა.

19 ნომერ ავტობუსში გარდაცვლილი ქალი, სავარაუდოდ, 80 წლამდე ასაკის არის.

შემთხვევა გუშინ მოხდა.

ქალს, სავარაუდოდ, ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდა.

მეჯვრისხევში მამაკაცის დასახიჩრებული ცხედარია ნაპოვნი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ მეჯვრისხევში, ფაბრიკის დასახლებასთან, კაცის ცხედარი იპოვეს. არსებული ინფორმაციით, ცხედარი დასახიჩრებულია. ჟურნალისტებს პოლიცია შემთხვევის ადგილზე მიახლოების უფლებას არ აძლევს, შესაბამისად, დამატებითი დეტალები უცნობია. „მთავარის“ ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლითაა აღძრული.

დავით უსუფაშვილი: „ძალიან ბევრი რამეა ახი მდინარაძესა და „ქართულ ოცნებაზე“

– ძალიან ბევრი რამეა ახი მდინარაძესა და „ქართულ ოცნებაზე“ – პრეზიდენტს არჩევანი დაუგვიანდა, დიდი ხანია, იყო ეს გასაკეთებელი სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ, მრჩება განცდა, რომ მან ეს გააკეთა, – ამის შესახებ ჟურნალისტებთან „ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა.

უსუფაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნები და წინასაარჩევნო პერიოდი გაიხსენა და აღნიშნა, რომ ამისთვის პოლიტიკური სასჯელიც დაგვიანდა.

– ახია კი, არა მარტო ეს, ძალიან ბევრი რამ არის ახი. რაც ჩაიდინეს და აკადრეს ქართველ ხალხს, იმისთვის პოლიტიკური სასჯელი აუცილებლად მაშინვე უნდა ყოფილიყო, მაგრამ დაგვიანდა. ძალიან ბევრი რამეა ახი მდინარაძეზეც და „ქართულ ოცნებაზეც“. მთავარია, ეს არ შეეხოს ქართველ ხალხს. თვითონ რას ნანობენ? – იმდენად უჭირდათ მაშინ, რომ მოძებნეს ვიღაც გვერდიდან შემოყვანილი, ვითომ დამოუკიდებელი, მერე მისი სახე გააქრეს და თვითონ ჩამოეკიდნენ იქ, – განაცხადა უსუფაშვილმა.

მისივე თქმით, ზურაბიშვილს სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება დაუგვიანდა, თუმცა გააკეთა.

– მრჩება განცდა, რომ სალომე ზურაბიშვილმა თავის თავში მორალურ-პოლიტიკური არჩევანი გააკეთა. ეს არჩევანი დაუგვიანდა, დიდი ხანია, იყო გასაკეთებელი სახელმწიფო და ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ, მაგრამ, მრჩება განცდა, რომ მან ეს არჩევანი გააკეთა სულ უფრო მკვეთრად და მკაფიოდ იკავებს პოზიციებს, რაც მე პირადად და „ლელოს“, ჯამში, მიგვაჩნია ზუსტად სახელმწიფოებრივ პოზიციებად, – განაცხადა უსუფაშვილმა.

ინფორმაციისთვის, მამუკა მდინარაძის განცხადებით, სალომე ზურაბიშვილი ხშირად არაობიექტურია და ამ ადამიანის არჩევისთვის რაც „იწვალეს“, ახია მათზე.

– ხშირად არის არაობიექტური შეფასებები, ხანდახან ადამიანს გიჩნდება განცდა, რაც ჩვენ ამ ადამიანის არჩევისთვის მოსახლეობას ათასი მესიჯი მივაწოდეთ, რაც ჩვენ ვიწვალეთ, ახია ჩვენზე, იმდენად ტენდენციური აღმოჩნდა, საბოლოო ჯამში, ქალბატონი სალომე, – განაცხადა მდინარაძემ.

„ბირთვული იარაღის განთავსებას საცავებში სჭირდება, რაც რუსეთს ბელარუსში არ გააჩნია“

მარიამ მჭედლიშვილი

ანალიტიკოსების დასკვნით, პუტინის მუქარები ბელარუსში ტაქტიკური ბირთვული იარაღის განლაგებაზე გამოწვეულია რუსეთის ფიასკოთი ფრონტზე. მათი აზრით, პუტინმა ვერ მოახდინა ზეწოლა დასავლეთზე და გაწბილდა იმის გამოც, რომ ჩინეთმა მოხერხებულად აარიდა თავი სამხედრო კავშირს რუსეთთან. ამიტომ პუტინი კიდევ ერთხელ გადავიდა ბირთვულ მუქარაზე.

უკრაინის შეიარაღებული ძალების თადარიგის პოლკოვნიკი, მფრინავი-კონსტრუქტორი რომან სვიტანი ამ საკითხებზე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს. მისი სიტყვებით, პუტინის ახლანდელი ბირთვული მუქარების უკან ჩინეთის მეთაური სი ძინპინი დგას. რომან სვიტანი იმასაც ამბობს, რომ ტაქტიკური ბირთვული იარაღის ბელარუსში განსათავსებლად რუსებს ინფრასტრუქტურა არ გააჩნიათ. სადაც შესაბამისი საცავი შემორჩათ, საკუთარი ძალებით იმის აღდგენასაც ვერ ახერხებენ. რომან სვიტანი ბელარუსის თავისუფალ მედიას ესაუბრა.

„ეს სი ძინპინის მხრიდან შანტაჟს ჰგავს“

რომან სვიტანი:

– რუსეთის ბირთვული ტაქტიკური იარაღის განლაგება ბელარუსში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ბირთვული იარაღის განთავსებას ესაჭიროება გარკვეული საცავი. რუსებმა ამის გაკეთება 9 წლის განმავლობაში ვერ მოახდინეს „ფეოდოსია 13“-შიც, რომელიც ანექსირებულ ყირიმში მდებარეობს. იქ არსებობს ბირთვული საბრძოლო მასალების შესანახი საბჭოთა ობიექტი. 9 წლის განმავლობაში რუსებმა ის ტექნოლოგიურად ვერ მოამზადეს და ვერ აღადგინეს. ბელარუსში ამგვარი საცავის უზრუნველყოფას ისინი თავს ვერ გაართმევენ. 30 წლის წინ რუსეთში ბირთვული საცავების მოვლა-მოწესრიგება ხდებოდა აშშ-ის დახმარებით. იქ დგას ამერიკული მონყობილობები, რომლებიც ინარჩუნებს გარკვეულ მიკროკლიმატს ბირთვული მარაგების შესანახად. ამას ემატება კონტროლისა და მუხტის მომსახურების სისტემები.

რუსები ამერიკელების გარეშე „ფეოდოსია 13“-ის მომზადებას ვერ გაუმკლავდნენ. რაღა უნდა ითქვას რამდენიმე თვეში ბელარუსში ამის გაკეთებაზე? ეს ფანტასტიკის სფეროა.

– მაშინ, რისთვის განიზრახა პუტინმა ეს ყველაფერი?

– ეს უფრო ჰგავს სი ძინპინის მხრიდან პუტინის პირით წარმოთქმულ ბირთვულ შანტაჟს. პუტინი ამ რიტორიკაში ჩაება სის ჩამოსვლის (რუსეთში ჩინეთის მეთაურის ვიზიტის) შემდეგ. ამ დროს ლუკაშენკო რამდენიმე დღით საერთოდ დაიკარგა. ის ამ თემაზე საერთოდ არ ლაპარაკობს.

ეს არის შანტაჟი იმისათვის, რომ სისთან გაიქცნენ ევროპელი ლიდერები რაღაც საკითხების მოსაგვარებლად. სი მათ გადაუგრეხს ხელებს გარკვეულ ეკონომიკურ საკითხებში. რუსეთი ახლა ჩინეთის ცოფიანი ძაღლია. სი იყენებს პუტინს, რუსეთს, მის ბირთვულ იარაღსა და რიტორიკას. ზუსტად ასეიგი იყენებს ჩრდილოეთ კორეას, როცა რაღაც გადასაწყვეტი აქვს სამხრეთ კორეასთან ან იაპონიასთან. იგივე სურათია ირანთან მიმართებით. ირანსაც ეძლევა ბრძანება, კოშმარი მოუწყოს ისრაელს, სირიას, ახლოს მდებარე სხვა ქვეყნებს.

„რუსეთი ახლა ჩინეთის ცოფიანი ძაღლია“

ასეთი ცოფიანი ძაღლის რეჟიმში იყენებს სი პუტინსა და რუსეთსაც. მან უნდა იყეფოს და სხვები შეაშინოს, რათა გადაწყდეს გარკვეული ეკონომიკური საკითხები.

– წარმოვიდგინოთ, რომ პუტინმა მაინც შეძლო ბირთვული იარაღის განთავსება ბელარუსში. რა ელის ბელარუსს?

– არა მგონია, პუტინმა ბირთვული საცავები მოამზადოს. თუ მან მაინც განალაგა ბირთვული იარაღი, ამას პასუხი მოჰყვება. როგორც კი გამოჩნდება ბირთვული შეიარაღება ბელარუსის ტერიტორიაზე, ის მაშინვე განადგურდება. აფეთქების ადგილზე წარმოიშობა ჭუჭყიანი ბომბი.

შემდეგ დადგება სანქციების საკითხი. ამ იარაღის გადატანის შედეგად ბელარუსი დაზარალდება. მიუხედავად ყველაფრისა, ლუკაშენკო ამაზე მიდის. ამის გამო მას მოუწევს პასუხისგება ბელარუსი ხალხის წინაშე.

– როგორი რეაგირება ექნება პენტაგონს?

– პენტაგონი იმოქმედებს საფრთხეებიდან გამომდინარე. ის გაანადგურებს ამ მუხტებს, როგორც კი ისინი გაჩნდება ბელარუსის ტერიტორიაზე. ეს იქნება პირდაპირი საფრთხე ბალტიის ქვეყნებისა და პოლონეთისათვის. ისინი აამოქმედებენ ნატოს წესდების მე-5 მუხლს. შესაძლოა, ამის აფიშირება არც მოახდინონ. „კეთილი ადამიანები“, რომლებიც აფეთქებენ ქარხნებს ირანსა და სირიაში, ააფეთქებენ ამ ბირთვულ მუხტებსაც. დღეს მსოფლიოში ბევრი ასეთი „კეთილი ადამიანი“ დადის.

საპატრიარქო მედიას შეზღუდვებს უწესებს



საეკლესიო დღესასწაულებზე მხოლოდ აკრედიტებულ ჟურნალისტებს დაუშვებენ – მედიისთვის დაწესებულ რეგულაციებთან დაკავშირებით ინფორმაციას საქართველოს საპატრიარქო ავრცელებს:

– ახლოვდება მნიშვნელოვანი საეკლესიო დღესასწაულები. იქიდან გამომდინარე, რომ ბოლო დროს არაერთხელ დაფიქსირდა ტაძარში თუ ტაძრის ეზოში რელიგიური და სხვა საეკლესიო მსახურების ხელის შეშლის ფაქტი და დიდია ალბათობა ზემოაღნიშნულის გამეორებისა, მასმედიის წარმომადგენლები ისარგებლებენ ისეთივე რეგულაციით, როგორიც კანონით განსაზღვრულია სახელმწიფოს სხვადასხვა ინსტანციის ოფიციალურ ღონისძიებებზე.

ვთხოვთ ტელევიზიებსა და მასმედიის წარმომადგენლებს, აკრედიტაციისთვის მიმართონ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს. დღესასწაულებზე თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის ტაძრის ეზოში დაშვებული იქნება მხოლოდ აკრედიტებული ჟურნალისტები და მედიის წარმომადგენლები, მათთვის გამოყოფილი იქნება სპეციალური სივრცე. ამასთან, აკრედიტებული ჟურნალისტებისთვის დამზადდება სახელობითი „ბეიჯები“, – ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

თაზო დათუნაშვილი: „კრემლის ფილიალმა და მისმა კარის „მილიციამ“ აქციის მონაწილეთა შევიწროება, დაშინება და დაპატიმრება უკვე ღიად დაიწყო“

– კრემლის ფილიალმა და მისმა კარის „მილიციამ“ უკვე ღიად დაიწყო აქციის მონაწილეთა შევიწროება, დაშინება და დაპატიმრება, – ამის შესახებ განცხადებას პარტია „ლელოს“ წევრი თაზო დათუნაშვილი ავრცელებს.

მისი თქმით, ხელისუფლების მიზანია, მოხდეს აქციის „მორალური გაშავება“.

– მიზანი დისკრედიტაციაა, მეთოდი ნაცადი – საბჭოთა. უნდა მოხდეს აქციის მორალური გაშავება... ეს სტანდარტული მესიჯით არ გამოუვიდათ, არადა, ცადეს – ნაყიდი, არაგულწრფელი, მართული – რა სიბინძურე არ მოიფიქრეს, მაგრამ უკურეაქცია მიიღეს. ახლა საბჭოთა „მილიციის“ ყველაზე მდაბიო ხერხს მიადგნენ – ახალგაზრდების წინააღმდეგ საქმეებს კერავენ, მათ წარსულში იქექებიან და რეციდივისტებად წარმოადგენენ. სურთ, ამ ახალგაზრდებს „ბოროტმოქმედის“ იარლიყი მიაკერონ!

დააკავეს ერთი 21 წლის ბიჭი და სამყაროს ყველა უბედურება მას უნდათ, დააბრალონ, თანაც შსს-ს ოფიციალურ განცხადებაში იმუქრებიან, ყველას დაგიჭერთო! მიზანმიმართულად ისეთ მუხლებს ედავებიან, რომ პატიმრობა ხანგრძლივი იყოს და სამაგალითოდ დასაჯონ. გარდა ამ ფაქტისა, ათობით მუქარისა და შევიწროების ფაქტია უკვე გასაჯაროებული. ამიტომ ახლა მნიშვნელოვანია მობილიზება და ერთად დგომა, ერთმანეთის ინფორმირება და დაკავებულებსა თუ შევიწროებულებზე ინფორმაციის გავრცელება, სასამართლო პროცესებზე სიარული და ყველანაირი იურიდიული, მორალური თუ მატერიალური დახმარების აღმოჩენა იმ პირებისათვის, რომლებსაც სამიზნეში ამოიღებს ძირგამომპალი რუსული რეჟიმი. მე პირადად და „ლელო საქართველოსთვის“ არ დავიშურებთ ენერგიასა და შესაძლებლობებს, რომ ყველა კონკრეტულ საქმეს მივყვეთ ბოლომდე – ჩვენი კოლეგა იურისტები აქტიურად ჩაერთვებიან ამ პროცესში! ნუ შეგეშინდებათ, თქვენ არ ხართ მარტო! შეგვეხმიანეთ ჩვენს Facebook-გვერდზე, მობრძანდით ჩვენს ოფისებში! ძალიან მჭიდრო კოორდინაციაში ვიქნებით უფლებადამცველ ორგანიზაციებთან და სხვა კოლეგებთან, რათა ერთიანი ფრონტი გაიშალოს. ჩვენ თანადგომის იმედი გქონდეთ!

როგორც მერაბ მამარდაშვილი ამბობდა, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია, „ვიყოთ ყურადღებით, არ გავუშვათ მომენტი, იმიტომ, რომ ეს მომენტი არ გაგრძელდება სამუდამოდ“. ეს დიდი ცვლილებების მომენტია და ამ მომენტში შეეცდებიან, რომ დაგვჩაგრონ, დაგვიჭირონ, გაგვაშავონ, ცხოვრება დაგვინგრიონ და ამით მაგალითი შექმნან სხვების დასაშინებლად! როგორც აქციაზე ერთად დგომა იყო ჩვენი წარმატების ფორმულა, ახლაც, „კუდიანებზე ნადირობა“ არ უნდა ვაცადოთ, – განაცხადა დათუნაშვილმა.

2022 წელს საქართველოში 6.799 ადამიანით მეტი გარდაიცვალა, ვიდრე დაიბადა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2022 წელს საქართველოში 42.319 ბავშვი დაიბადა, მათ შორის 21.897 ბიჭი და 20.422 გოგო. აღნიშნული მაჩვენებელი, წინა წელთან შედარებით შემცირებულია 7.9 პროცენტით.

2022 წელს, დაბადებულთა ყველაზე მეტი რიცხოვნობა დაფიქსირდა ქ. თბილისში (14.202 ბავშვი), ხოლო ყველაზე მცირე – რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (246 ბავშვი)

2022 წელს, წინა წელთან შედარებით, გარდაცვლილთა რიცხოვნობა 18%-ით შემცირდა და 49.118 შეადგინა.

2022 წელს, საქართველოში დაფიქსირდა უარყოფითი ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) და 6.799 კაცით განისაზღვრა.

ამასთან, უარყოფითი ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ყველა რეგიონში, გარდა თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონისა.

„ყაზახეთში ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევა შეუძლია“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– გარედან ინსპირაციის ელემენტები იყო, მაგრამ უფრო შიდა რეგრესული ძალების პასუხი გახლდათ. ისინი ტოკაევის რეფორმების წინააღმდეგ გამოვიდნენ და რევანშის პოლიტიკის განხორციელება უნდოდათ.

– ნაზარბაევის როლიც ხომ არ იყო?

– ნაზარბაევი აქ არაფერ შუაშია. ნაზარბაევის პერიოდში შიდა კლანური დაჯგუფებები გაძლიერებული იყვნენ.

– მგონი, ნაზარბაევის სიძეც კი იყო ჩართული.

– კი ბატონო. სხვათა შორის, ტოკაევი ნაზარბაევის გარემოცვის წევრად ითვლებოდა. ნაზარბაევმა ტოკაევი სწორად შეარჩია. ტოკაევი არის სხარტი, საერთაშორისო გავლენის მქონე პოლიტიკოსი იყო, საგარეო საქმეთა მინისტრიც გახლდათ, პრემიერ მინისტრიც. გაეროში გენმდივნის მოადგილედაც მუშაობდა. საერთაშორისო საზოგადოებაში გავლენიანი პოზიციები ჰქონდა და აქვს. გასული წლის მოვლენების აღკვეთაში ამანაც დიდი როლი ითამაშა. ის ქარიზმატული პიროვნებაა.

– საინტერესოა მისი პუტინისადმი დამოკიდებულება. ასეთი სცენა მახსოვს: ტოკაევი პუტინის გვერდით იჯდა. პუტინი და ტოკაევი წაკამათდნენ. მგონი, პუტინი ტოკაევს დაემუქრა და ტოკაევმაც პუტინს უშიშრად უპასუხა.

– მაშინ ტოკაევმა პირდაპირ განაცხადა, რომ ის პატივს სცემს დსთ-ის სივრცეში არსებული ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, გმობს სეპარატიზმსა და ნებისმიერ აგრესიულ ქმედებას.

– რუსეთის მიმართ ახლა როგორი დამოკიდებულება აქვს?

– რუსეთის ხელმძღვანელობასთან ზომიერად დისტანციური ურთიერთობა გააჩნიათ. ყაზახეთს სპეციფიკური გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს და, გარკვეულწილად, იძულებულია, მეზობლების ინტერესები გაითვალისწინოს.

– საქართველოში შევარდნაძის დროიდან საქმიანობდა ყაზახური კომპანია „ყაზტრანსგაზი“, რომელიც, თუ არ ვცდები, რუსული გაზის კომპანიის შვილობილი კომპანია იყო.

– „ყაზტრანსგაზი“ ყაზახური კომპანიაა.

– საქართველო-ყაზახეთის დღევანდელ ურთიერთობებზე რა იტყვით?

– ტოკაევმა მოახერხა ის, რომ ე.წ. შუალედური სატრანსპორტო დერეფნის გეოეკონომიკურ პროექტში ჩართვის საკითხი დადგა.

– ყაზახეთი ერთვება „შუა დერეფნის“ პროექტში, რომელიც აზერბაიჯანმა, საქართველომ, რუმინეთმა და უნგრეთმა უნდა განახორციელონ?

– რა თქმა უნდა. ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირება უკვე დაიწყო და რაოდენობა კიდევ გაიზრდება, ანუ ნავთობის გადმოქაჩვა აქტაო-ბაქოს საზღვაო კომუნიკაციით მოხდება. ასევე ნავარაუდევია ყაზახური თხევადი გაზის გადმოქაჩვა და მერე მისი თბილისი-ბაქო-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის საშუალებით გატარება. თხევადი გაზის ექსპორტი, ალბათ, უახლოეს ხანში განხორციელდება.

ყაზახეთი ხდება ჩინური ტვირთების ერთგვარი სატრანზიტო ეკონომიკური ჰაბი. ეს ყველაფერი ერთ კონტექსტში მოიაზრება.

– თქვით, ყაზახეთი საპარლამენტო ქვეყანა გახდაო. პრეზიდენტის უფლებები შეიკვეცა?

– ნახევრად საპრეზიდენტო მმართველობაა, სადაც პარლამენტს სერიოზული გავლენა აქვს (როგორც ზედა, ასევე ქვედა პალატის პარლამენტს). ქვედა პალატაში შერეული სისტემით არჩეული დეპუტატები არიან (პროპორციული სისტემით არჩეულია 70%, მაჟორიტარულით – 30%), 6-მა პოლიტიკურმა პარტიამ გადალახა ბარიერი. ცენტრალური აზიის სახელმწიფოსთვის დიდი შედეგია. საქართველოს პარლამენტში 3-4 პარტია თუ შევა.

– საქართველოს პარლამენტში 8 თუ 9 ოპოზიციური პარტია შევიდა. ხელისუფლება ვერ შეცვალეს, თორემ ბევრი პარტია კი შევიდა.

– „ნაცმოძრაობა“, „ქართული ოცნება“, ელისაშვილის პარტია და „გირჩი“ შევიდნენ.

– კიდევ „პატრიოტთა ალიანსი“, „ლელო“, რესპუბლიკელები, ეროვნულ-დემოკრატები.

– ჩვენ 30 წლის განმავლობაში პარლამენტს დემოკრატიულად ვირჩევთ და დემოკრატიული ქვეყნის პრეტენზია გვაქვს. ყაზახეთში დემოკრატიული პროცესი სულ რაღაც 3 წელია, რაც დაიწყო. 3 წელიწადში რამდენიმე პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა და პარლამენტში შევიდა.

– ისე, ყაზახეთი დიდი ქვეყანაა.

– დიდია, მაგრამ ამდენი პოლიტიკური პარტია წინა მმართველობის პერიოდში არ იყო. დღეს ვითარება გამოცოცხლდა. ისეთი ნორმებია შემოტანილი, რაც ჩვენთან არის. ამომრჩეველს დეპუტატის გაწვევა შეუძლია. ჩვენთან ასეთი რამ არის? არა. ასევე შემოღებულია გრაფა „ყველას წინააღმდეგ“.

ბადრი ესებუა იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ნაწილში თავს დამნაშავედ ცნობს

იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ნაწილში ბადრი ესებუა თავს დამნაშავედ ცნობს და ბრალს აღიარებს. ამის შესახებ მან ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში სხდომაზე განაცხადა. კერძოდ, საუბარია დაკავების დროს წარდგენილ ბრალდებაზე.

– დიახ, თავს დამნაშავედ ვცნობ. ჩემი იყო ის იარაღი, – განაცხადა ესებუამ.

მოსამართლის კითხვაზე, რომელიმე უფლება ხომ არ დარღვეულა მის მიმართ, ესებუამ უპასუხა, რომ არ დარღვეულა.

ამასთან, დაცვის მხარემ უდავოდ ცნო ყველა მტკიცებულება, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებები, რის შემდეგაც საქმის არსებითი განხილვის დაწყების ვადად 5 აპრილი განისაზღვრა.

ბრალდების ამ ეპიზოდზე განაჩენი სწორედ ხუთ აპრილს უნდა დადგეს. საუბარია 8 თებერვლის ეპიზოდზე, როცა „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღებისთვის ძებნილი ბადრი ესებუა ჯიხაშკარში დააკავეს.

ცნობისთვის, გამოძიების ინფორმაციით, ზუგდიდში, „საქართველოს ბანკის“ შენობაში 2020 წლის 21 ოქტომბერს შეიარაღებული ბადრი ესებუა შეიჭრა. მას მძევლად 40-ზე მეტი მოქალაქე ჰყავდა აყვანილი და მათი გათავისუფლების სანაცვლოდ 500 ათას აშშ დოლარსა და უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვდა. თანხის გადაცემის შემდეგ თავდამსხმელმა გაქცევა მოახერხა. ბადრი ესებუა მიმდინარე წლის 8 თებერვალს დააკავეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე, 323-ე და 329-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ტერორისტულ აქტს, მძევლად ხელში ჩაგდებას ტერორისტული მიზნით და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

ვინ არის ქალი, რომელიც თავს პროკურორად ასაღებდა

პროკურატურის ინფორმაციით, დააკავეს ქალი, რომელიც თავს პროკურორად ასაღებდა და დიდი ოდენობით თანხას თაღლითურად დაეუფლა.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებული დაკავებული მსხვერპლს უმტკიცებდა, რომ ირაკლი შოთაძის მეგობარი იყო და გავლენები ჰქონდა.

უძრავი ქონების შეძენით დაინტერესებულ მოქალაქეებს ეჭვმიტანილი ქალი ჰპირდებოდა, რომ ბინებს საბაზროზე იაფად აყიდვინებდა.

– გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაზარალებულებს ეცნობოდა სხვადასხვა პირის სახელით, გამოგონილ და ყალბ ინფორმაციას აწვდიდა, რომ თითქოსდა მისი ოჯახის წევრები იყვნენ სამშენებლო კომპანიის მფლობელები, დაზარალებულებს ჰპირდებოდა საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით დაბალ ფასად სხვადასხვა სახის უძრავ ქონებას, კერძოდ, მშენებარე საცხოვრებელ ბინებსა და კომერციულ ფართებს თბილისსა და ბათუმში. შედეგად, იგი თაღლითურად დაეუფლა არაერთი დაზარალებული პირის კუთვნილ ფულად თანხებს – ჯამში 295.650 ლარისა და 135.000 აშშ დოლარის ოდენობით, – წერია განცხადებაში.

უწყების ცნობით, დაკავებული გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების საფუძველზე დააკავეს.

მას ბრალდება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ექვს ფაქტზე წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ნარკოდანაშაულისთვის 58 პირი დაკავდა, მათ შორის 31 ნარკორეალიზატორია

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, თბილისის პოლიციის, საპატრულო პოლიციის, სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის, კახეთის პოლიციის და აჭარის პოლიციის დეპარტამენტების თანამშრომლებმა, სხვადასხვა დროს ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით, 58 პირი დააკავეს, მათ შორის 31 ნარკორეალიზატორია. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მათივე ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ ნარკოტიკული საშუალების გასაღებისა და გასაღების მცდელობისთვის დაკავებული პირები ნარკოტიკული საშუალებების გასაღების სქემებში იყვნენ ჩართული, კერძოდ, ისინი სხვადასხვა ინტერნეტაპლიკაციისა და სოციალური ქსელების მეშვეობით, შემდგომი რეალიზაციის მიზნით, კონკრეტულ ლოკაციებზე ათავსებდნენ ნარკოტიკულ საშუალებას, ფოტოებს უღებდნენ, რასაც შემდგომ შესაბამისი აღნიშვნებითა და კოორდინატებით უგზავნიდნენ ნარკოტიკული საშუალების შეძენით დაინტერესებულ პირებს.

სამართალდამცველებმა ნარკოტიკების უკანონო გასაღების ბრალდებით დაკავებული პირებისგან, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განახორციელეს ნარკოტიკების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა.

პოლიციამ დაკავებულების მიერ მითითებული ადგილებიდან, ასევე, ნარკოდანაშაულისთვის ბრალდებული სხვა პირების პირადი, ავტომანქანების, სახლებისა და დროებითი საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები: „ჰეროინი“, „კოკაინი“, „მეტადონი“, „ბუპრენორფინი“, „მდმა“ „ალფა-პვპ“, „მეფედრონი“, „პრეგაბალინი“, ე.წ. სინთეტიკური ნარკოტიკი, „მეტამფეტამინი“, „ფენტანილი“, „ტრამადოლი“, „პსილოცინი“, „მარიხუანა“ და ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე – კანაფი.

ასევე ამოღებულია, სავარაუდოდ, ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული ფული, ასევე, მცირე ზომის სასწორები და წებოვანი ლენტები.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ფსიქოტროპული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის, ნარკოტიკული საშუალების გასაღების მცდელობის და გასაღების, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 262-ე, 261-ე, 263-ე, 265-ე, 19-260-ე, 273-ე პრიმა და 19-273-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს.

აქციებზე პოლიციელზე თავდასხმის საქმეზე დაკავებულ ლაზარე გრიგორიადისს ბრალი წარუდგინეს

რუსთაველის გამზირზე მარტში მიმდინარე აქციებზე პოლიციელზე თავდასხმისა და ცეცხლის წაკიდებით სხვისი ნივთის დაზიანების საქმეზე დაკავებულ ლაზარე გრიგორიადისს ბრალი წარუდგინეს.

თუ რა პოზიცია აქვს დაკავებულს მის ბრალდებასთან დაკავშირებით, ამ საკითხზე მისი ადვოკატი დიმიტრი ნოზაძე არ საუბრობს.

– ბრალი წარედგინა, მის პოზიციასთან დაკავშირებით საუბრისგან თავს შევიკავებ, დაზიანებები არ აქვს. ძირითადად, ვიდეომტკიცებულებების დათვალიერება მოხდა, საქმის მასალები ახლა უნდა გადმომცენ.

მას ედავებიან, რომ დააზიანა სხვისი ნივთი, საუბარია ავტომობილის დაზიანებაზე, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა და პლუს, დაზიანება მიაყენა პოლიციელს. მისი ერთ-ერთი ბრალდებაა, რომ მოლოტოვის კოქტეილი გაისროლა. დაკავება მოულოდნელად მოხდა, გამოკითხვაზე დაბარებულიც არ ყოფილა, – განაცხადა ნოზაძემ.

ცნობისთვის, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით მიმდინარეობს. გამოძიების ინფორმაციით, ლაზარე გრიგორიადისმა მიმდინარე წლის 7,8,9 მარტს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციაზე პოლიციის თანამშრომლებს ესროლა ქვები და ე.წ. მოლოტოვის კოქტეილები, რის შედეგადაც დაზიანება მიიღეს სამართალდამცველებმა. ბრალდებულმა ასევე, ცეცხლი წაუკიდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილ ავტომობილს.

საზოგადოება

გიორგი ბურჯანაძე სახალხო დამცველის აპარატს ტოვებს

სახალხო დამცველის მოადგილე გიორგი ბურჯანაძე თანამდებობას ტოვებს და, როგორც ფეისბუქზე წერს, 31 მარტი მისი ბოლო სამუშაო დღე იქნება.

– გასრულდა ესე ამბავი, მეგობრებო, ხვალ ჩემი ბოლო დღე იქნება სახალხო დამცველის აპარატში. არ ჩამოვთვლი უამრავ ფაქტორს, რატომაც მე ამ ეტაპზე აპარატში საქმიანობას ვერ გავაგრძელებდი. ამ კვირაში დავწერე გადადგომის შესახებ განცხადება და 31 მარტის 12 საათიდან ოფიციალურად აღარ ვიქნები საქართველოს სახალხო დამცველის მოადგილე.

ლევანს არჩევის დღესვე ვუთხარი, რომ მარტის ბოლომდე შემეძლო მხოლოდ დარჩენა აპარატში, რადგან დასასრულებელი იყო საპარლამენტო ანგარიში და სხვა მიმდინარე საქმეები. დავწერეთ მე და კოლეგებმა დიდი და მსუყე ანგარიში და შემდეგ კვირას იხილავთ ყველა.

62 თვის მანძილზე ნინო ლომჯარიასთან და სახალხო დამცველის აპარატის უამრავ გადასარევ კოლეგასთან ერთად ვიყავი საჯარო სამსახურში და, მიუხედავად სახელმწიფო პროპაგანდისა და გამუდმებული თავდასხმებისა, გვქონდა ერთი ამოცანა – ყველა გაჭირვებული და უფლებადარღვეული ადამიანის პრობლემის გამოვლენა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის რეკომენდაციით მიმართვა, რომ ეს გამოესწორებინათ.

ყოველთვის ვიამაყებ – რაც კი სახალხო დამცველს აქვს ან თეორიულად შეიძლება ჰქონდეს, ყველა შესაძლო სამართლებრივი მექანიზმი გამოვიყენეთ ამ ხუთ წელიწადში. ვიყავით მუდამ იქ, სადაც პრობლემა იყო და არასდროს შეგვშინებია ვინმესი ან რამესი.

დღეს, როცა საჯარო სამსახურს ვასრულებ, ვარ ამაყი. 2018 წელს დავისახე მიზნად, რომ ბავშვური გულწრფელობით მეკეთებინა ყველაფერი ჩემი შესაძლებლობის მაქსიმუმის ფარგლებში და რაღაც დოზით, ვფიქრობ, გამომივიდა. ყოველდღიურად უამრავი ადამიანი მხვდება ქუჩაში, რომელიც მადლობას მეუბნება საქმიანობის გამო. ძალიან ვიბნევი ხოლმე იმ მომენტში, მაგრამ სიხარულისგან ფრენით ვაგრძელებ ხოლმე გზას. ახლა რომ ვფიქრობ, საჯარო მოხელისთვის ეს ძალიან დიდი ბედნიერებაა.

ღმერთია მოწამე, მინდოდა საჯარო სამსახურის გაგრძელება და ყველაფერი ვცადე და გავაკეთე, მაგრამ რუსული კანონის ავტორებმა, არაო.

არა უშავს, რაღაც პერიოდი „დიდი ავიაციიდან“ მივდივარ და ჩემი სამომავლო საქმიანობის ფარგლებში (ამაზე ცოტა მოგვიანებით დავწერ) ნაკლები საჯაროობა მექნება, მაგრამ თემატიკა და მიზანი კვლავ მსგავსი და დიადი იქნება, დიდი მადლობა ნინოს ნდობისთვის, ამ შესაძლებლობისთვის და დამოუკიდებლობის გარანტიებისთვის. მადლობა ჩემს კოლეგებს აპარატში, რომლებიც რეალურად იდგნენ ყველა საქმის უკან. განსაკუთრებული მადლობა ჩემს ოჯახს, რომლებიც ყოველთვის გაგებით ეკიდებოდნენ სამუშაო გრაფიკსა და დატვირთულობას.

მადლობა პარტნიორ უფლებამდაცველებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და დონორებს. მადლობა ყველას, ვინც აპარატს უცხადებდა მხარდაჭერას სხვადასხვა ფორმით! განსაკუთრებული მადლობა ყველა ჟურნალისტს, რომელიც აპარატის საქმიანობას აშუქებდა 5 წლის მანძილზე და აძლიერებდა უფლებადარღვევის მსხვერპლებს. წარმატებებს ვუსურვებ სახალხო დამცველის აპარატს სამომავლო საქმიანობაში. ყოველთვის მათი დიდი გულშემატკივარი ვიქნები. სხვა რომ გვერდით გადავდოთ, ჩემთვის ეს სამსახური ცხოვრების ნაწილია, სადაც ჯამში 10 წელზე მეტი მაქვს გატარებული და სადაც ყველაზე ძვირფასი ადამიანი გავიცანი ბევრი წლის წინ, – წერს ბურჯანაძე ფეისბუქზე.

სარფის საბაჟოზე დააკავეს საქართველოდან გადასული კაცი, რომელსაც 250 წყლის კუ ფარულად გადაჰყავდა

თურქეთის ვაჭრობის სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სარფის საბაჟოზე დააკავეს საქართველოდან გადასული პირი, რომელსაც 250 წყლის კუ ფარულად გადაჰყავდა.

მესაზღვრეებმა კაცზე ეჭვი ქურთუკის გამო მიიტანეს, რომელიც შებერილი იყო. ჩხრეკის დროს აღმოჩნდა, რომ კაცს ტანზე მიმაგრებული ჰქონდა ყუთი, რომელშიც კუები იყვნენ.

როგორც თურქული მხარე ამბობს, კუები ართვინის პროვინციის ბუნების დაცვისა და ეროვნულ პარკებს გადაეცა.

მოზარდზე სექსუალურ ძალადობაში ბრალდებული 63 წლის კაცი იზოლატორიდან კლინიკაში გადაიყვანეს

იზოლატორში, სადაც სქესობრივი დანაშაულის ბრალდებით დაკავებული კაცია მოთავსებული, სასწრაფო დახმარების ჯგუფია მობილიზებული. ადვოკატის თქმით, 63 წლის მამაკაცს, სავარაუდოდ, გულის შეტევა აქვს. კაცი კლინიკაში გადაჰყავთ.

შეგახსენებთ, 63 წლის კაცი 15 წლის გოგოს მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულის ჩადენას ედავებიან. მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლით მიმდინარეობს. თავად ბრალდებული დანაშაულის ჩადენას არ აღიარებს.

2023, 31 მარტი, №64

რა შანსები გააჩნია უკრაინელთა კონტრშეტევას?!

- რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება შეიცვალა. ზამთრის შეტევამ ბევრი ვერაფერი მისცა რუსებს. არც უკრაინა გაიყინა და არც ევროპა. მეტიც, მსოფლიოში ვერ გაძლიერდნენ ძალები, რომლებიც რუსეთთან „საერთო ენის" გამოძებნისაკენ (ანუ კაპიტულაციისაკენ) მოუწოდებენ.

რუსეთმა ვერ მოახერხა ახალი უკრაინული ტერიტორიების დაკავება. სამაგიეროდ, ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია. ამ მხრივ მონაცემები სხვადასხვაა.

უკვე განადგურებულია 172.000-ზე მეტი ოკუპანტი. დასავლური წყაროები ამას არ ეთანხმებიან. თანახმად ბრიტანეთის დაზვერვის ცნობისა, მოკლული და დაჭრილი რუსი ჯარისკაცების რაოდენობა უკვე 250.000-ია. სწორედ ეს ციფრი მოიყვანა თავის უკანასკნელ გამოსვლაში ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა უოლესმა.

ყველა დასავლელი ანალიტიკოსი ერთსულოვანია ერთში: რუსები გადაიქანცნენ და აღარ ძალუძთ ყველა ფრონტზე აქტიური ოპერაციების წარმოება. მართლაც, ბახმუტის ფრონტზე რუსებმა მთელი 70 კმ-ით დაიხიეს უკან. ქალაქზე წნეხი შემცირდა, მაგრამ არ გამქრალა. სამაგიეროდ, გაიზარდა ავდეევკაზე შეტევების რაოდენობა. რადგან ოკუპანტებს ავდეევკის აღების შანსები მოესპოთ, ახლა მათ კურსი ქალაქის განადგურებისაკენ აიღეს. ავდეევკის დაბომბვისას რუსები 500 კგ-იან ბომბებს იყენებენ. მიმდინარეობს ქალაქის აღგვა პირისაგან მიწისა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

ამ ფონზე მეტად გაიზარდა უკრაინელთა კონტრშეტევის მნიშვნელობა. ამაზე ერთხმად მიუთითებენ როგორც წამყვანი ამერიკელი, ისე ბრიტანელი და უკრაინელი ექსპერტები. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ოსტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის არმია განუწყვეტელი უშედეგო შეტევების შედეგად გადაიქანცა. რუსებს გააჩნიათ ადამიანური რესურსი, მაგრამ აკლიათ თანამედროვე სამხედრო ტექნიკა. ეს მაშინ, როცა დამთავრდა უკრაინული არმიის გადაიარაღება ნატოს სტანდარტების შესაბამისად. თავდაპირველად დაგეგმილი იყო 20 ახალი უკრაინული ბრიგადის შექმნა, რომლებიც ნატოს სტანდარტების შესაბამისად იქნებოდნენ აღჭურვილი. უკრაინელებმა გეგმას გადააჭარბეს. მათ 20-ის ნაცვლად 80 ასეთი ბრიგადა შექმნეს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრს მისი ბრიტანელი კოლეგა უოლესიც ეთანხმება. ის ხაზს უსვამს, რომ დანაკარგები რუსეთის არმიის რიგებში კრიტიკულ ზღვარს, 300.000-ს უახლოვდება. რუსების თავდაცვაში უამრავი სუსტი ადგილია. შესაბამისად, კონტრშეტევის წარმატებულად განხორციელების ალბათობაც დიდია.

უკრაინელი ექსპერტები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ამავე დროს, ისინი უკრაინული არმიის რიგ სუსტ მხარეებზეც მიუთითებენ. ასე მაგალითად, პოლკოვნიკი სვისტუნი ხაზს უსვამს, რომ რუსეთს უკრაინაზე 12-ჯერ მეტი სამხედრო თვითმფრინავი ჰყავს. დასავლეთის დახმარებით უკრაინელებმა ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა შექმნეს. რუსული თვითმფრინავებიც უკრაინულ საჰაერო სივრცეში შესვლას უფრთხიან და უკრაინის დაბომბვას რუსეთის ტერიტორიიდან აწარმოებენ. ასეთ სიტუაციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამერიკულ პეტრიოტის ტიპის რაკეტებს. მათი ათვისება უკრაინელი ჯარისკაცების მიერ სწრაფად მიმდინარეობს.

სავარაუდოდ, უკრაინელთა მასირებული კონტრშეტევა უკვე აპრილ-მაისში დაიწყება. ახლო მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართლდება ექსპერტების მოლოდინები.

ბაიდენი თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეალების ერთგულია

პრეზიდენტმა ბაიდენმა ხელი მოაწერა ახალ განკარგულებას, რომლის თანახმადაც, კორუფციასთან ბრძოლისათვის 69 მილიარდი დოლარი გამოიყო.

– ჩვენი ადმინისტრაცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში შეურიგებელი უნდა იყოს და მომავალშიც ასე იქნება, – თქვა ბაიდენმა.

ამერიკელები „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის აფეთქების გამოძიებას მოითხოვენ

როგორც ცნობილია, რუსეთმა „ჩრდილოეთის ნაკადი 2"-ის აფეთქებაში აშშ დაადანაშაულა. ამან ვაშინგტონი აღაშფოთა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ განაცხადა, რომ დადგა დრო, როცა „ჩრდილოეთის ნაკად 2"-ზე მომხდარი დივერსიის გამო გულმოდგინე გამოძიება უნდა ჩატარდეს.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

დღეისათვის რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგების რაოდენობა შემდეგია: ტანკები – 3.610; საბრძოლო ბრონირებული მანქანები – 6.974; არტილერია – 2.671; თვითმფრინავები – 306; განადგურებულია 173.000 რუსი ოკუპანტი.

ასეთმა დანაკარგებმა რუსეთი სავალალო დღეში ჩააყენა. თანახმად ბრიტანეთის დაზვერვის ცნობისა, ოკუპანტებს აღარ ჰყოფნით ძალა, რომ რამდენიმე ფრონტზე მასირებული შეტევები აწარმოონ.

– რუსეთი კიდევ 400.000 ჯარისკაცის მობილიზაციას ამზადებს, – იტყობინება ბრიტანეთის დაზვერვა.

სიმონიანის მორიგი „სიბრძნე"

რუსმა პროპაგანდისტმა მარგარიტა სიმონიანმა მსოფლიო კვლავ გააოცა. მან განაცხადა, რომ დასავლეთს, კერძოდ, აშშ-ს, რუსეთის მოსპობა სურს. სიმონიანი აცხადებს, რომ ამერიკელებს ეს არ გაუვათ.

– ახლა ახალი მსოფლიო წესრიგი იქმნება! მას რუსეთი და ჩინეთი ქმნიან. სი ძინპინის მოსკოვში ვიზიტი ამისი ნათელი დადასტურებაა! – აცხადებს სიმონიანი.

ქალბატონი მარგარიტას აზრით, მსოფლიოში სიტუაცია მალე კიდევ უფრო დაიძაბება. შეიქმნება კარიბის კრიზისის მსგავსი ვითარება. ამას ხელს შეუწყობს უკრაინის არმიის კონტრშეტევა.

ბახმუტზე შეტევები არ წყდება

დონბასი კვლავ უმწვავესი ბრძოლების არეალად რჩება. ყველაზე გააფთრებული შეტაკებები კვლავ ბახმუტთან არის. მართალია, ამ ქალაქზე წნეხი შემცირდა, მაგრამ ის არ გამქრალა.ბახმუტზე შეტევები არ წყდება. მხოლოდ გასულ დღეს უკრაინელმა მეომრებმა ოკუპანტების 40 შეტევა მოიგერიეს.

სასტიკი ბრძოლებია ავდეევკისა და მარინკის მახლობლადაც. ჩაიშალა რუსების ყველა მცდელობა, წინ წაწეულიყვნენ ავდეევკის მიმართულებით. პასუხად ოკუპანტებმა ქალაქის დაბომბვა გააძლიერეს.

– რადგან ავდეევკა არ ნებდება, ის მოისპობა! – განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა შოიგუმ.

სისხლისმღვრელი ბრძოლები არ შეწყვეტილა არც მარინკის მიმართულებით. ოკუპანტებმა წინ წაწევა ვერც იქ მოახერხეს.

უკრაინის სამხრეთ ნაწილშიც ბრძოლებია. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, იქ მდგომარეობა შეიცვალა. თუ სულ რამდენიმე კვირის წინ რეგიონში ძირითადად პოზიციური ბრძოლები მიმდინარეობდა, ახლა რუსები თავდაცვაზე არიან გადასულნი. რუსები სანგრებს თხრიან მელიტოპოლთან, ნოვაია კახოვკასთან, ბერდიანსკთან, მარიუპოლთან.

უკრაინული არმია ასეთი კონტრშეტევის დაწყებას არ ჩქარობს. ამ ეტაპზე მხოლოდ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. სამაგიეროდ, უკრაინელები ინტენსიურად ახორციელებენ პარტიზანულ ოპერაციებს. აფეთქებები გაისმის მელიტოპოლში, ბერდიანსკში, მარიუპოლში, ნოვაია კახოვკაში.

პარტიზანული აქციების პასუხად რუსებმა ზაპოროჟიესა და ხერსონის დაბომბვები გააძლიერეს. დაიბომბა ნიკოპოლი, ნიკოლაევი, ოდესა. მშვიდობიან მოსახლეობაში დიდი მსხვერპლია.

– ე.წ. უკრაინული პარტიზანკის შედეგად ზარალდება მშვიდობიანი მოსახლეობა, მოხუცები, ქალები და ბავშვები. ასე უბრუნდება ხალხს მათივე „დამცველების" მოქმედება, – თქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა.

ბატონი მინისტრი უკრაინელებისათვის ჭკუის სწავლებასაც არ ერიდება:

– უკრაინამ უნდა აღიაროს რეალობა: დონბასი, ხერსონ– ზაპოროჟიეს ოლქები რუსეთია! რეფერენდუმზე იქაურმა მოსახლეობამ თავისი ნება დააფიქსირა და ჩვენ ამას არასგზით არ დავთმობთ! – ბრძანა ლავროვმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

პორნოვარსკვლავმა პარკში ლატარია გამართა

არგენტინელმა მოდელმა და პორნოვარსკვლავმა თაყვანისმცემლები პარკში მიიწვია და იქ მათთვის სექსლატარია მოაწყო. სამ გამარჯვებულს ორგიაში მონაწილეობის პატივი ხვდა წილად.

პორნოვარსკვლავმა ჯესიკა ფაქსმა საკუთარ გამოსვლაზე დასწრების ყველა მსურველი ქალაქ როსარიოს პარკში მიიწვია. პარკში გამართული წარმოდგენის დროს დიდი რაოდენობით შეგროვილი მაყურებლების თვალწინ გოგონა ბოლომდე გაშიშვლდა და ეროტიკული ცეკვა შეასრულა, ამის შემდეგ კი ხელმომწერთა შორის თავისი სტრინგი გაათამაშა და გამარჯვებულს მისი თავზე დახურვის უფლება მისცა.

შემდეგ ჯესიკამ მაყურებლებში ლატარიის ბილეთები დაარიგა და სამი შემთხვევითი ნომერი დაასახელა. ასე ამოირჩია მან სამი მამაკაცი, რომლებთანაც სექსი ექნება. პარკში გამოსვლის შემდეგ ჯესიკა ლატარიის გათამაშების გამარჯვებულ მამაკაცებთან ერთად სასტუმროს ნომერში განმარტოვდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

დიმიტრი არაყიშვილის არქივი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა



კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილის არქივი ეროვნულ ბიბლიოთეკას გადაეცა.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– დიმიტრი არაყიშვილის შვილიშვილები – დინარა არაყიშვილი, ნინო სანიკიძე და ლელი ტატიშვილი გვესტუმრნენ, გადმოგვცეს ხელნაწერები, მინაწერებიანი წიგნები, მალე ფოტოარქივსაც გადმოგვცემენ. ამჯერად ვეძებთ ერთ-ერთი შთამომავლის ოჯახში ლექსის ხელნაწერს, რომელიც გალაკტიონ ტაბიძემ მიუძღვნა არაყიშვილს, როცა დეპრესიაში მყოფი ესტუმრა და დაკვრა სთხოვა, უსმინა, უსმინა და ფურცელი მოითხოვა. ფოლკლორის დარბაზში დიმიტრი არაყიშვილის 150 წლისთავიც აღვნიშნეთ, ოქტომბერში კი იუბილე საგამოფენო დარბაზში გაიმართება. ეროვნული ბიბლიოთეკის ფოლკლორის დარბაზი ფონდ „ქართულ გალობასთან" ერთად შევქმენით 4 წლის წინ. XX საუკუნის დასაწყისის კედლები აღვადგინეთ, საოცარი გარემო მოვაწყვეთ და მერე პანდემიის გამო დროებით დავხურეთ, თუმცა დიმიტრი არაყიშვილის საიუბილეო თარიღზე მუშაობა განვაახლეთ.

გიგი ადამაშვილმა ახალი სიმღერა ჩაწერა

მომღერალმა გიგი ადამაშვილმა ათასობით გულშემატკივარს ახალი სიმღერა წარუდგინა.

ინგლისურენოვანი სიმღერის ავტორი საბა მიქელაძეა, რომელზეც გიგიმ ვიდეორგოლიც გადაიღო.

ქართველმა მომღერალმა ოფიციალურად მიიღო დასტური „ვევოსგან", რაც იმას ნიშნავს, რომ გიგისთვის მსოფლიო ბაზარზე სულ სხვა შესაძლებლობები იხსნება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ახალი ტურნირი საქართველოს გარეშე

2026 წლიდან რაგბიში ახალი სანაკრებო ტურნირის ჩატარება იგეგმება. ახალი, გლობალური ტურნირის ჩატარების იდეა უკვე ღიად ისმის და, როგორც ბრიტანული მედია წერს, უკვე ყველაფერი შეთანხმებულია.

ახალ შეჯიბრებაში, რომელსაც „ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროთა ჯახი" ეწოდა, 6 ერისა და რაგბი ჩემპიონშიპის ნაკრებები ითამაშებენ: ინგლისი, ირლანდია, იტალია, საფრანგეთი, შოტლანდია, უელსი, არგენტინა, ავსტრალია, ახალი ზელანდია და სამხრეთ აფრიკა. მათ ფიჯი და იაპონია დაემატებიან.

ტურნირი ორ წელიწადში ერთხელ ჩატარდება, ჩამოთვლილი 12 ნაკრები კი 2 ჯგუფში იქნება გადანაწილებული. ფორმატის თანახმად, ზაფხულის ტესტების პერიოდში 6 ერის წარმომადგენლები სამხრეთ ნახევარსფეროს ესტუმრებიან, შემოდგომაზე კი, იგივე სამ-სამ მეტოქეს ევროპაში მიიღებენ. ამასთან, ჯგუფების შემადგენლობები ცვალებადი იქნება, რათა ყველას ყველასთან თამაში შეეძლოს.

როგორც ხედავთ, ტურნირში საქართველოს ნაკრებისთვის ადგილი არ მოინახა. არადა, ბორჯღალოსნები მომავალი შეჯიბრის ორ სავარაუდო მონაწილეს მსოფლიო რეიტინგით უსწრებენ. ევროსპორტი წერს, რა არის საქართველოს ნაკრების გარიყვის მიზეზი.

– გასულ უქმეებზე ირლანდიის ნაკრებმა 6 ერის მოგება მოახერხა, ხოლო ევროპული ტურნირი საქართველომ მოიგო. ქართველმა მორაგბეებმა ბრწყინვალე სტილში იმარჯვეს რაგბი ევროპის ჩემპიონატზე და კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რომ რანგით მე-2 ევროპული შეჯიბრების სხვა მონაწილეებს ერთი თავით სჯობნიან. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრები კვლავაც გარიყული რჩება ელიტიდან. ეს მსოფლიო ლიგის გამოქვეყნებულმა პროექტმაც დაადასტურა.

სრული დომინაცია. არ ვიცით, კიდევ როგორ უნდა გამოიხატოს უპირატესობა, რომელიც საქართველოს რაგბი ევროპის ჩემპიონატზე აქვს. ამ გუნდმა ფინალში პორტუგალიას 38:11 სძლია და ტურნირი ზედიზედ მეექვსედ მოიგო. ეს შეჯიბრებას იმ ნაკრებებს აერთიანებს, რომლებიც 6 ერში ვერ ხვდებიან: ესპანეთი, პორტუგალია, რუმინეთი...

მეტოქეებთან ჭიდილში საქართველოს ნაკრები ფაქტობრივად მუდმივად გამარჯვებული გამოდის. გუნდმა ბოლო 16 ტურნირიდან 14-ში იმარჯვა და გამონაკლისი მხოლოდ ის შემთხვევები იყო, როდესაც ჩემპიონობას რუმინეთი ახერხებდა. ეს სტატისტიკაც კი აჩვენებს, რომ ქართველი მორაგბეები მოწინააღმდეგეებს მთელი თავით სჯობნიან და განვითარების სხვა ეტაპზე იმყოფებიან.

საქართველოს ნაკრების ბირთვი საფრანგეთის ტოპ 14-ში თამაშობს. მაგალითად, დავით ნინიაშვილი ლიონშია, ბექა გიგაშვილი – ტულონში. ეს ერთადერთი ნაკრებია რაგბი ევროპის ჩემპიონატიდან, რომელსაც შეუძლია მსოფლიო გრანდებს ისე ეთამაშოს, რომ მუდმივად სირცხვილი არ შეემთხვეს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

სოკ-მა რუსეთისა და ბელარუსის მიმართ სანქციები ძალაში დატოვა



საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტმა თომას ბახმა შეჯიბრებებზე რუსი სპორტსმენების მხოლოდ ნეიტრალური სტატუსით დაშვების რეკომენდაცია სოკ-ის აღმასრულებელი საბჭოს შემაჯამებელი სხდომის შემდეგ გააჟღერა.

თომას ბახი:

– საერთაშორისო სპორტული ასპარეზობები მშვიდობის სულისკვეთებით, შემწყნარებლობის და ზეწოლის გარეშე უნდა ტარდებოდეს. სანქციები არ უნდა იყოს გამოყენებული მხოლოდ პასპორტის ან ეროვნული კუთვნილების საფუძველზე. IOC აღმასკომი საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწოდებს, რომ რუსი და ბელარუსი სპორტსმენები უნდა ასპარეზობდნენ როგორც ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტები.

სოკ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა არ შეეძლებათ იმ სპორტსმენებს, რომლებიც დაკავშირებული არიან რუსულ ან ბელარუსულ შეიარაღებულ ძალებთან ან ეროვნული უსაფრთხოების სამსახურებთან. ათლეტები ასევე უნდა შეესაბამებოდნენ ყველა ანსტისადოპინგო რეკომენდაციას.

ამასთან, სოკ-ის რეკომენდაციით, სპორტულმა ფედერაციებმა რუსი და ბელარუსი სპორტსმენების დაშვების გადაწყვეტილება მხოლოდ იმ პირობით უნდა მიიღონ, რომ ეს გადაწყვეტილება შეიძლება ნებისმიერ დროს იყოს უკან გამოთხოვილი.

საერთაშორისო სარბიელზე დაშვებულმა რუსმა სპორტსმენებმა უნდა იასპარეზონ „ინა"-ს (ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტი) აბრევიატურით. დაშვებული ათლეტების ფორმა უნდა იყოს თეთრი ან ერთი ტონის ფერის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც წინააღმდეგობაშია სპორტული ფედერაციების წესებთან.

შეჯიბრებებზე დაშვებული სპორტსმენები მონაწილეობას ვერ მიიღებენ მედლების ჩათვლაში, რადგან ისინი წარმოდგენილი იქნებიან ნეიტრალური სტატუსით. მედლების გადაცემის ცერემონიებისთვის გამოყენებული იქნება შეჯიბრების ჰიმნი ან სიმღერა, ანდა ორგანიზატორ ფედერაციასთან შეთანხმებული სხვა მელოდია.

გარდა ამისა, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ძალაში დატოვა რუსეთში საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარების აკრძალვა.

რაც შეეხება პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთისა და ბელარუსის სპორტსმენების მონაწილეობას, თომას ბახის განცხადებით, ეს საკითხი მოგვიანებით გადაწყდება.

– სოკ-ის აღმასრულებელ საბჭოს 2024 და 2026 წლის თამაშებთან მიმართებით ზუსტი დრო არ განუსაზღვრავს. არავინ იცის, რა იქნება ხვალ ან ცხრა თვეში. არ მაქვს პასუხი, როდის დადგება საჭირო დრო. ვითარებას უნდა დავაკვირდეთ.

2022 წლის 28 თებერვალს სოკ-ი რუსი და ბელარუსი სპორტსმენების შეჯიბრებებიდან მოკვეთის რეკომენდაციით გამოვიდა. მიზეზი ნათელია – რუსეთის მხრიდან უკრაინაში დაწყებული ომი. 2023 წლის 25 იანვარს სოკ-ის აღმასკომმა საერთაშორისო შეჯიბრებებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების ნეიტრალური სტატუსით დაშვების წინადადება წამოაყენა, მაგრამ, იქვე ხაზი გაუსვა, რომ შეჯიბრებებზე არ უნდა დაუშვან ის სპორტსმენები, რომლებიც უკრაინაში დაწყებულ საომარ მოქმედებებს მხარდაჭერას უცხადებენ.

მერი არაბიძე ევროპის ჩემპიონი

მერი არაბიძე ევროპის ჩემპიონია. ექვსი მოგება, ხუთი ყაიმი – ქართველმა მოჭადრაკემ მონტენეგროში დასრულებული ევროპირველობა დაუმარცხებლად განვლო და დამსახურებული ტიტული ირგუნა.

არაბიძე გახდა მეორე ქართველი ქალი, ვინაც კონტინენტის ჩემპიონობა მოიპოვა. პირველად იგივე 2017 წელს ნანა ძაგნიძემ მოახერხა.

29 მარტს კონტინენტის პირველობის ბოლო ტურში მერი არაბიძე შავი ფიგურებით სალომე მელიას დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ოლივია კიოლბასა (პოლონეთი) და სტანისლავა ცოფოვა (ბერძნეთი). პოლონელმა მოჭადრაკემაც, არაბიძის მსგავსად, 8.5 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ ურთიერთშეხვედრებში არაბიძემ იმარჯვა და პირველობაც ქართველს ამის წყალობით ერგო.

სალომე მელია მეოთხე ადგილზე გავიდა; ლელა ჯავახიშვილი (7); ბელა ხოტენაშვილი (28); ლილე ქორიძე (32); დიანა ლომაია (86); ნია დოღვანი (94); ელენე წოწონავა (106).

არაბიძემ, მელიამ და ჯავახიშვილმა მსოფლიოს თასის ლიცენზია მოიპოვეს.

კვარაცხელია მსოფლიოს ნაკრებში — ბიჭი ყველაზე მაგარი მეტსახელებით

ვებპორტალმა ატლეტიკმა ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს სიმბოლური ნაკრებები შეადგინა. მსოფლიოს ნაკრებში 22 წლის ხვიჩა კვარაცხელია მოხვდა.

და რატომ მსოფლიო ნაკრებში? გამოცემის აზრით, ეს გადაწყვეტილება, შესაძლოა, საკამათო იყოს. თუმცა, საქართველო ტრანსკონტინენტური ქვეყანაა, აზიასა და ევროპას შორის. გარდა ამისა, წერენ, რომ ევროპის ნაკრებში მარცხენა შემტევად კილიან მბაპე შეიყვანეს, ხოლო სეზონის აღმოჩენა – მსოფლიოს ნაკრებში.

აი, რას წერს ატლეტიკი:

– მსოფლიოს ნაკრებში ავიყვანეთ ბიჭი, რომელსაც ფეხბურთელთა შორის ყველაზე მაგარი მეტსახელები აქვს: კვარადონა, კვარავაჯო და ჩე კვარა.

ევროპის ნაკრები

მეკარე: ჯანლუიჯი დონარუმა (იტალია, პსჟ);

მცველები: ჟოაო კანსელო (პორტუგალია, ბაიერნი), ვირხილ ვან დეიკი (ნიდერლანდები, ლივერპული), იოშკო გვარდიოლი (ხორვატია, ლაიპციგი), ალეკსანდრ ზინჩენკო (უკრაინა, არსენალი);

ნახევარმცველები: როდრი (ესპანეთი, მანჩესტერ სიტი), ჯამალ მუსიალა (გერმანია, ბაიერნი), კევინ დე ბრუინი (ბელგია, მანჩესტერ სიტი);

თავდამსხმელები: ბუკაიო საკა (ინგლისი, არსენალი), ერლინგ ჰაალანდი (ნორვეგია, მანჩესტერ სიტი), კილიან მბაპე (საფრანგეთი, პსჟ).

მსოფლიოს ნაკრები

მეკარე: ანდრე ონანა (კამერუნი, ინტერი);

მცველები: აშრაფ ჰაკიმი (მაროკო, პსჟ), ედმონ ტაპსობა (ბურკინა-ფასო, ლევერკუზენი), კიმ მინ ჯაე (სამხრეთ კორეა, ნაპოლი), ალფონსო დევისი (კანადა, ბაიერნი);

ნახევარმცველები: კაზემირო (ბრაზილია, მანჩესტერ იუნაიტედი), ფედერიკო ვალვერდე (ურუგვაი, რეალი), მოისეს კაისედო (ეკვადორი, ბრაიტონი);

თავდამსხმელები: ლიონელ მესი (არგენტინა, პსჟ), ვიკტორ ოსიმენი (ნიგერია, ნაპოლი), ხვიჩა კვარაცხელია (საქართველო, ნაპოლი).

მამუკელაშვილი ნბა-ში ქულებს აგროვებს

სანდრო მამუკელაშვილმა ნბა-ში მორიგი შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ჩვენებურის სან ანტონიო სპურსი იუტა ჯაზს დაუხვდა და 117:128 წააგო. მამუკელაშვილმა მოედანზე 29 წუთი გაატარა, რა დროშიც 17 ქულა, 8 მოხსნა და 5 პასი მიითვალა.

23 წლის ქართველი კალათბურთელი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო, მაგრამ ნათამაშები წუთების მიხედვით მხოლოდ ზაკ კოლინზს (31) ჩამორჩა.

ქართველმა ფორვარდმა 8-დან 5 ორქულიანი, 6-დან 2 სამქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 3-ჯერ დაკარგა და მხოლოდ 1 პერსონალური ფოლი მიიღო. აღსანიშნავია, რომ სანდროს მოედანზე ყოფნის პერიოდში მისმა გუნდმა მეტოქეზე 7 ქულით მეტი ჩააგდო და ეს სპურსის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ქართველ ლეგიონერს სპურსში გადასვლის შემდეგ 13 მატჩი აქვს ჩატარებული. მისი საშუალო მაჩვენებლები ასე გამოიყურება: 9.5 ქულა, 6.1 მოხსნა, 2.1 პასი.

სან ანტონიო 19 მოგებითა და 57 მარცხით დასავლეთ კონფერენციაში ბოლოსწინა მე-14 ადგილზე იმყოფება, მომდევნო მატჩს კი 1 აპრილს გოლდენ სტეიტ ვორიორსთან ჩაატარებს.

გიორგი შერმადინის ტენერიფემ ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მანრესა დაამარცხა, ქართველი ცენტრი კი, მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდა. ტენერიფელებმა მანრესას სანტიაგო მარტინის არენაზე უმასპინძლეს და 100:87 მოუგეს.

ქართველმა ცენტრმა 24 წუთში 21 ქულა, 6 მოხსნა და 2 პასი მოაგროვა. მის ანგარიშზე 11-დან 11 საჯარიმო და 8-დან 5 ორქულიანია. გიორგი მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა. ასევე 21 ქულა ჰქონდა მის თანაგუნდელ აარონ დორნეკამპს.

ტენერიფეს 17 მოგება აქვს და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩს ის 2 აპრილს ბარსელონის წინააღმდეგ გამართავს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ახალი ტურნირი საქართველოს გარეშე

დასაწყისი მე-6 გვერდზე

ქართველმა მორაგბეებმა სეზონი ამაღლებულ ნოტაზე დაასრულეს, მაგრამ მათთვის არასასიამოვნო ინფორმაციები ვრცელდება – მსოფლიო ლიგის პროექტში 12 ნაკრები მოხვდა. მათ შორის კი, არც საქართველოა და არც სამოა. სამაგიეროდ, იქ ადგილი დამოინახა იტალიისა და ფიჯისთვის. ეს კიდევ ერთი დარტყმაა ქართული რაგბისთვის, რომელიც ყველა ხერხით ცდილობს, თავი იტალიელებზე წინ დაიმკვიდროს.

ნამდვილად მძიმე ყოფაა საქართველოსთვის, რომელსაც ელიტაში სათამაშოდ არ იწვევენ და იძულებულია ერთი და იმავე დონეზე იმყოფებოდეს. ყველასთვის ნათელია, რომ ამ შემთხვევაში მიზეზი არა მხოლოდ სპორტულია და ძირითადად ეკონომიკური ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ.

დიეგო დომინგესი:

– ის, რომ საქართველო 6 ერში იტალიის ნაცვლად უნდა დავუშვათ, არასერიოზულ საუბრად მიმაჩნია. რატომ? იმიტომ, რომ საქართველო შორსაა. ამ ქვეყნის იტალიასთან შედარება არ შეიძლება. დიახ, დებატები მართლაც მიმდინარეობს, მაგრამ, ყველამ იცის, რომ იტალიამ 6 ერს ბევრი რამ შესძინა. ხომ ყველამ ვიცით, რომ ეს მხოლოდ სპორტი არაა?! კულტურული ასპექტიც უნდა გავითვალისწინოთ. ბევრი ადამიანისთვის, რომელიც ნაკრებს სხვა ქვეყნებში დაყვება, ეს, მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ის, რასაც დომინგესი ამბობს, კარგად აქვთ გააზრებული რაგბი ევროპის ჩემპიონატზეც, რაზეც ტურნირის პრეზიდენტ **ოქტავიან მორარიუს** განცხადებაც მეტყველებს:

– 6 ერი პირველ რიგში ის სტრუქტურაა, რომელიც ბიზნესზეა ორიენტირებული.

თუკი ყურადღებას მხოლოდ სპორტულ ასპექტზე გავამახვილებთ, აქ საკამათო გაცილებით ბევრია. საქართველო ნამდვილად აღარ არის „ბურჯების ნაკრები", როგორც ადრე ხშირად უწოდებდნენ. გასულ ზაფხულს მათ იტალია 28:19 დაამარცხეს.

ევროსპორტის კონსულტანტ **ჟან-ბაპტისტ ლაფონდის** პოზიციაც აქედან მომდინარეობს:

– ადრეც ამას ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ: საქართველოს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ იტალიასთან კონკურენციაში ჩაებას.

საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა იოსებ ტყემალაძემ უელსთან გამარჯვების შემდეგ განაცხადა, რომ თუ 6 ერი საქართველოს კარს გაუღებს, ჩვენ მზად ვართ. თუმცა, ეს ყურად არავინ იღო. საქართველოს ნაკრები ისევ აკაკუნებს, მაგრამ მათთვის ადგილი არც ახალ ტურნირზე გამოინახა. ქართველ მორაგბეებს პრესტიჟულ შეჯიბრებაზე, უკეთეს შემთხვევაში, 2030 წლიდან ვიხილავთ, როდესაც მსოფლიო ლიგაში დაქვეითება-აღზევების სისტემა იგეგმება.

2023 წლის მსოფლიო თასზე საქართველო ც ჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად ავსტრალია, უელსი, ფიჯი და პორტუგალია ეყოლება. კავკასიური ნაკრების სანუკვარი მიზანი ჯგუფში მე-2 ადგილის დაკავება იქნება. აღნიშნული კიდევ ერთი შანსია, რომ საქართველო კულისებიდან საბოლოოდ გამოვიდეს და თავისი ამბიციების შესახებ განაცხადოს. ეს ელიტური ნაკრებებისთვის გაგზავნილი საბოლოო სიგნალი იქნება.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართველი პრიმაბალერინა; 2. ქართული ნაციონალური კერძი; 3. თეთრი ფერის მშრალი გერმანული ლუდი; 4. ტერიტორიული ერთეული რუმინეთში; 5. ესპანეთის პრემიერ-მინისტრი; 8. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 9. დამბლა, მოქმედების უნარის დაკარგვა; 12. მდგომარეობა კრივში; 13. ნავთობის, წყლის ამოსაქაჩი პნევმატიკური მოწყობილობა ჭაბურღილზე; 16. მდინარე გაგრაში; 17. ქალთა ჯგუფური ცეკვა, რომელიც კაბარეში სრულდება; 19. ფერადი მინის ან მარმარილოს პატარა ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 20. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

თარაზულად: 6. მთიანეთი ავღანეთში; 7. მოხარშული და გადაზელილი ქართული ყველი; 8. რუსული ესტრადის ვარსკვლავი ქართველი მომღერალი მამაკაცი; 10. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 11. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია ორნამენტი ან წარწერა; 14. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 15. თვალის ექიმი; 18. აქლემის ნაშიერი; 21. ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიური ჩანაწერი; 22. ფულის ერთეული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში; 23. ორგანიზაციის, ფირმის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი ოფიციალური ექსპერტი; 24. მსხვილი მემამულე ინდოეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. მირაჟი; 2. პიეტა; 3. ბიურგე; 4. ალუშტა; 6. შტრაუსი; 11. რიტუალი; 9. ურანი; 15. რუდიმენტო; 16. ტეკილა; 17. ბიურგერი; 19. ოტიატრი; 21. შუშპარი; 22. თრომბი.

თარაზულად: 5. ჰიდრანტი; 7. ტრამვაი; 8. შუამთა; 10. არიფანა; 12. ტვიში; 13. კლიშე; 14. მონორელსი; 18. გაუჩო; 20. ვეზირი; 23. არემჯი; 24. შოთი; 25. მალაგა; 26. ბუტი; 27. პრატერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მორჩილი; 2. კნესეტი; 3. პიგმენტი; 4. კაჭიჭი; 5. ჰელიოსი; 8. სიდედრი; 9. ჰარისონი; 12. გროტესკი; 13. სტატუსი; 16. მაჭახელა; 17. სატურნი; 19. იდალგო; 20. უუმური.

თარაზულად: 6. კომანდორი; 7. მავრები; 8. სამუმი; 10. ფიპრესი; 11. ფოკა; 14. მეტაფორა; 15. სომბრერო; 18. მანეჟი; 21. დისპუტი; 22. ბეუჟი; 23. ოუენსი; 24. ბალანჩინი.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

31 მარტი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.5604

ევრო — 2.7862

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.1624

100 რუსული რუბლი — 3.3149

ამინდის პროგნოზი 31 მარტისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხავი: „მოდუნების უფლება არ გვაქვს“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა განაცხადა, რომ მის გუნდს მოდუნების უფლება არა აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონა 12-ქულიან უპირატესობას ფლობს. ხავის თქმით, ელჩესთან შეხვედრა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორიც სხვა დანარჩენები: „ელჩე ბოლო ადგილზეა, მაგრამ ამ გარემოებამ შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს. ასეთი გუნდები ძალიან საშიშნი არიან და ჩვენ არ უნდა მოვდუნდეთ. იმედი მაქვს, აქტივში მორიგ სამ ქულას ჩავიწერთ“.

გრეგ პოტერი: „ჩელსის ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი ჰყავს“

ჩელსის მთავარმა მწვრთნელმა გრეგ პოტერმა თავის გუნდზე ისაუბრა და თქვა, რომ ჩელსის ბევრი ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი ჰყავს, თუმცა მათ ჯერ კიდევ სჭირდებათ შეთამაშება: „როდესაც ვარჯიშებზე ფეხბურთელების გარჯას ვუყურებ, აღფრთოვანებული ვარ და ვიცი, მათ რამხელა პოტენციალი აქვთ. მცირე დრო გვჭირდება და ყველა ნახავს ჩვენს ნამდვილ ძალას“.

კლოპი: „ლივერპულს ოთხეულში მოხვედრა შეუძლია“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს შეუძლია ოთხეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება, მაგრამ ამისთვის უფრო მეტი სტაბილურობაა საჭირო: „ბოლო პერიოდში სტაბილურობა საგრძნობლად გვაკლია და კარგად ჩატარებულ შეხვედრებს მარცხი მოსდევს ხოლმე. ეს მოცემულობა უნდა გამოვასწოროთ და ოთხეულში მოხვედრის ყველა შანსი გვექნება“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ასაკოვან მამაკაცს ეკითხებიან:

– პენსიით ცხოვრება შეიძლება?

– შეიძლება, მხოლოდ დიდხანს არა.

•••

მზარეული და ოფიციანტი სამზარეულოდან უყურებენ მაგიდასთან მჯდომ მომხმარებელს. მზარეული ეუბნება:

– შეხედე, ის ჭამს, მართლა ჭამს!

•••

ბავშვი თოვლის პაპას წერილს წერს:

– ძვირფასო თოვლის პაპა! დაე, ახალ წელს ჩვენმა ხელისუფლებამ და დეპუტატებმაც ბავშვების შემწეობით იცხოვრონ.

•••

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– გუშინ ექიმმა სასიხარულო ამბავი მაცნობა.

– მართლა? რაო, რა გითხრა?

– ფეხმძიმედ ვარ.

– გილოცავ, და ბავშვის სახელზე უკვე იფიქრე?

– არა ჯერ, მამის გვარზე ვფიქრობ...

•••

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ძვირფასო, მიყიდე რა მანქანა. გევედრები.

– სამზარეულოში მანქანა რაში გჭირდება?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ვახტანგ ტატიშვილმა ოქროს ქორწილი იზეიმა

ანსამბლ „ივერიის“ უცვლელმა წევრმა ვახტანგ ტატიშვილმა ქორწინების 50 წლის იუბილე – ოქროს ქორწილი აღნიშნა.

მომღერალმა მომავალი მეუღლე თენგიზ ჩხეიძის წყალობით გაიცნო და მასთან ოჯახის შექმნა გადაწყვიტა. წყვილმა ოქროს ქორწილი ორიგინალური ტორტით ოჯახის წევრებისა და შთამომავლების გარემოცვაში იზეიმა.

მომღერალსა და მის მეუღლეს ერთად ყოფნის 50 წელი უამრავმა ადამიანმა მიულოცა.

ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე ხელოვნების ქალაქი შენდება

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ყოფილი კინოსტუდიის ტერიტორიაზე ხელოვნების ქალაქი შენდება. მშენებლობის პირველი ფაზა უკვე დასრულებულია.

კინოსტუდიის ერთ-ერთ შენობაში უკვე განთავსდა ცნობილი ფოტოგრაფის იური მეჩითოვის სტუდია, მოეწყო გამოფენა-გაყიდვის სივრცე სამხატვრო აკადემიის პროექტისთვის „ლურჯი სუფრა“, ფუნქციონირებს მსახიობების შერჩევის სააგენტო, რომელსაც მსახიობი და კასტინგ-მენეჯერი ეკა მჟავანაძე ხელმძღვანელობს და მეთოჯინეების – ეკატერინე ბერიძისა და იულია სოროკინას სახელოსნო.

ტერიტორიაზე მოეწყობა „თოჯინების სახლი“, სადაც თბილისსა და რეგიონებში მოქმედი თეატრებისთვის სპეციალისტები დაამზადებენ თოჯინებს, პატარა მაყურებლებისთვის კი გაიმართება თოჯინური სპექტაკლები. მათ საშუალება ექნებათ, დაათვალიერონ სახელოსნო და თავად გახდნენ თოჯინების შექმნის პროცესის მონაწილეები. ეს ინიციატივა ხელს შეუწყობს მეთოჯინის პროფესიის პოპულარიზაციას. პროცესის ორგანიზატორი თბილისის თოჯინების თეატრების გაერთიანების სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი ნიკა საბაშვილია. ტერიტორიაზე ძმებ ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის თბილისის ფილიალიც იქნება. ეს ფესტივალი სამხატვრო აკადემიის რექტორმა ყარამან ქუთათელაძემ დააფუძნა. ფესტივალს თანამედროვე ხელოვნების ცენტრი, რეზიდენცია „არტვილა გარიყულა“ ყოველწლიურად მასპინძლობს.

სამუშაოების მეორე ფაზის განხორციელების შედეგად ღია სივრცე მსურველებს მასტერკლასებისა და ვორქშოპების ჩატარების საშუალებასაც მისცემს. ტერიტორიაზე შეიქმნება მულტიფუნქციური სტუდიები, მოეწყობა კლუბური სტილის კინოდარბაზი კინოჩვენებებისა და დისკუსიებისთვის, აღდგება მულტსტუდიაც.

სამუშაოების დასრულების შემდეგ იჯარის საფუძველზე ხელოვანებს ექნებათ შესაძლებლობა, სხვადასხვა შემოქმედებითი პროექტი თუ ღონისძიება განახორციელონ.

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე უნიკალური ისტორიის მქონე კინოსტუდიის 4 ჰექტარამდე ტერიტორიის სარეაბილიტაციო სამუშაოები გასულ წელს დაიწყო, დაწყებულია ჩამოქცევის პირას მყოფი, გასული საუკუნის 20-იან წლებში აგებული ორი პავილიონის გადარჩენაზე მუშაობა. ტერიტორიაზე ამჟამად წყლის, ელექტროსისტემების, ეზოს მოსაპირკეთებელი და გამწვანების სამუშაოები ტარდება.

დავით არჩვაძემ ზურა ბაკურაძეს სიმღერა მიუძღვნა

ანსამბლ „ქართული ხმების“ ტრაგიკულად დაღუპულ წევრ ზურა ბაკურაძეს მომღერალმა და კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ სიმღერა მიუძღვნა.

„რაჭავ, ჩემო“ – ასე ჰქვია სიმღერას და მას „ქართული ხმების“ კვარტეტი ასრულებს. სიმღერა დავით არჩვაძემ დეკანოზ ზაზა კირვალიძის ლექსზე დაწერა: „მონატრების სურვილია შენთან ჩემი სიმღერა, ამ ქვეყანას თუ ვერ გნახო, იქ შეგიტკბო იქნება, მენატრები, როგორც გუგულს, ბუდე ლაღად ნაფერი, რაჭა, ჩემი სიყვარული, ლოცვა ცად ასაფრენი“.

დავით კომახიძემ უახლესი კოლექციის ჩვენება გამართა

მსოფლიო მოდის ინდუსტრიაში ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა ქართველმა დიზაინერმა დავით კომახიძემ, იმავე დევიდ კომამ უახლესი კოლექციის ჩვენება გამართა.

2023 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ჩვენებაში ცნობილმა მოდელებმა მიიღეს მონაწილეობა. დავით კომახიძესთან ერთად არაერთმა ლამაზმანმა იპოზიორა, მათ შორის იზაბელ გულარმა, რომელიც საზოგადოების წინაშე ქართველი დიზაინერის სამოსით წარდგა.

ლაშა ღლონტმა ისრაელში პირველი სოლოკონცერტი გამართა

მომღერალმა ლაშა ღლონტმა ისრაელში თავისი პირველი სოლოკონცერტი გამართა.

ქართველი ებრაელებისთვის დანიშნული კონცერტისთვის მომღერალმა საგანგებო პროგრამა შეარჩია – ძველი და კარგად ნაცნობი და ახალი სიმღერები:

– ისრაელში ჩემი პირველი სოლოკონცერტია. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემს უსაყვარლეს ქართველ ებრაელებთან შეხვედრით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

31 მარტისათვის

ვერძი – ნებისმიერი საქმის მოგვარებისას დეტალებს ყურადღება მიაქციეთ. სიფიცხე და მოუთმენლობა უსიამოვნებამდე მიგიყვანთ. **ჯარო** – დღეს შესაძლოა რჩევისათვის მოგმართონ. თქვენი პირადი გამოცდილების გაზიარება დიდ სამსახურს გაუწევს მათ, ვისაც ეს სჭირდება. **ტყუპები** – საქმიანი მოლაპარაკებები შეგიძლიათ დღესვე დაიწყოთ. პარტნიორული ურთიერთობები საკმაოდ ნაყოფიერი იქნება. **კირჩხიბი** – საეჭვო საქმეებში ჩარევისაგან თავი შეიკავეთ. დღეს შეძლებთ, ფორტუნა თქვენ სასარგებლოდ შემოაბრუნოთ. **ლომი** – პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა უსიამოვნებაში გაგხვევთ. დაგროვილი პრობლემები დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. **ქალწული** – ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციები მოთოკეთ. მოვლენების არსს ახლებურად შეხედეთ. **სასწორი** – იღბლიანი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. გარშემომყოფების დარწმუნებას იოლად შეძლებთ და მათ თქვენ მიმართ ნდობით განაწყობთ. **ღრიანკალი** – ჩანაფიქრის რეალიზება გაგიძნელდებათ. ნუ გარისკავთ და ნუ იაქტიურებთ. **მშვილდოსანი** – გაღიზიანებული და განერვიულებული ხართ. იფრთხილეთ და ემოციების გამოვლენისაგან თავი მაქსიმალურად შეიკავეთ. **თხის რქა** – მეტისმეტი აქტიურობა რეკომენდებული არ არის. გარშემომყოფებს ნუ გააღიზიანებთ. მხოლოდ თქვენზე დაკისრებული მოვალეობა შეასრულეთ. **მერწყული** – არსებობენ ადამიანები, რომლებსაც თქვენი დახმარება და თანაგრძნობა სჭირდებათ. კეთილისმყოფელი დღეა მივლინებებისათვის, სამოგზაუროდ წასასვლელად. **თევზები** – გადაღლილი ხართ. დაუფიქრებელ და სპონტანურ გადაწყვეტილებას დღეს ცუდი შედეგი მოჰყვება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ცნობილი ფრანგი ბალეტმეისტერი; 2. იმრე კალმანის ოპერეტა; 3. რაიმეს განვითარების საფეხური, პერიოდი; 4. ყინულის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 9. მთავარი მოედანი მილანში; 11. რომის, ვისკის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 15. ბალნეოლოგიური კურორტი აზერბაიჯანში; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 17. ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი სტატია, პუბლიკაცია; 19. ზღვისპირა კურორტი ლატვიაში; 21. ქრისტიანული ეკლესია, სამლოცველო; 22. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 5. პირველი მაჯის საათების შემქმნელი გერმანელი მექანიკოსი; 7. რძის შაქარი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. დაკეპილი ხორცის გულიანი სვანური ორცხობილა; 12. შიშველი, წვეტიანი კლდე; 13. კანადის დედაქალაქი; 14. ბრიტანეთის იმპერიის ნაწილი, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან; 18. შვედური მსუბუქი ავტომობილი; 20. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 23. პოეტ ნიკოლოზ რაზიკაშვილის ფსევდონიმი; 24. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ირანში; 25. სამხედრო-საზღვაო პოლიგონი საქართველოში; 26. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 27. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა